საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 110 (130) | სამშაბათი, 4 ივნისი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

კომისიამ შეაჯამა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები.

ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი — 36044810. არჩევნების მონაწილეთა რიცხვი — 2978247, კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი — 2968945, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი — 39018;

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა:

ბატონი ზვიად გამსახურდია — 2565362, ბატონი ირაკლი შენგელაია — 26886, ბატონი ჯემალ მიქელაძე — 51717, ბატონი ვალერიან ადვაძე — 240243, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე — 853, ბატონი ნოდარ ნათაძე — 36266;

3. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის თანახმად,

ა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად იქნეს ცნობილი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა

ბატონი ზვიად გამსახურდია

დაბადებული 1939 წელს, ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც წარდგენილი იყო საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ მიერ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ტერიტორიული, საქალაქო და საოლქო კომისიების თავმჯდომარეებმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საფინანსო ანგარიში უნდა ჩამოიტანონ ნაშთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად არა უგვიანეს 15 ივნისისა.

საქართველოს პრეზიდენტი დაზარალებულ რაიონებში

ძლიერმა მიწისძვრამ, რომელმაც ხალხიც შეიწირა, უსახლკაროდ დატოვა 165 ათასზე მეტი კაცი. სტიქიური უბედურების ზონა 7 ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, მხოლოდ უახლესი ტექნიკის მეშვეობით თუ შევძლებთ იმის ზუსტად განსაზღვრას, თუ სად და როგორ უნდა ვაშენოთ. საშური საქმეა სკოლების, საავადმყოფოებისა და უპირველესი დანიშნულების სხვა ობიექტების აგება. უნდა აღდგეს 700 კილომეტრზე მეტი გზები. არასრული მონაცემებით, ზარალმა 11 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

ამ დღეებში ონისა და ამბროლაურის რაიონებში სამუშაოთა მიმდინარეობის გასაცნობად ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია. მიწისძვრის შემდეგ აქ ბევრი რამ გაკეთებულა. უწინარესად ეს შეეხება მისასვლელ გზებს, რომლებიც სულ კილომეტრობით აქვს განაწილებული 48 სამმართველოს. ამ დღეებში, ალბათ, მთლიანად დამთავრდება ტყიბულ-ამბროლაურის გზის მოასფალტება. აღდგენილია ელექტროენერგიის მიწოდება, კავშირგაბმულობის საშუალებანი, ისტორიული ძეგლები გაამაგრეს. თითქმის ყველა რაიონში მომზადდა პირველ რიგში ასამუშავებელი ობიექტების და საჭირო მასალების ნუსხა. ნანგრევებისგან წმენდენ რაიონულ ცენტრებსა და სოფლებს, სადაც სპეციალისტთა დასკვნის შემდეგ დაჩქარდება სამშენებლო სამუშაოთა ტემპი. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია.

მშენებლებთან, პრეფექტებთან და სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებთან საუბრისას ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ საჭიროა იმ ღონისძიებათა დაჩქარება, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის რიგიანად გამოზამთრებას და არსებითად შეუმსუბუქებს მდგომარეობას.

ბატონი ზვიად გამსახურდია იყო ქუთაისში, სადაც ოპერატიული თათბირი გაიმართა. აქ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში საქმიანობის შესახებ ინფორმაციებით გამოვიდნენ ქუთაისის პრეფექტი არჩილ კოსტავა, მინისტრები გურამ მირიანაშვილი და გურამ აბსანძე, აღდგენითი სამუშაოების შტაბის ხელმძღვანელი თამაზ ვაშაძე და სხვები.

მაკა კილაძე,
საქინფორმის კორ.

ბატონი ზვიად გამსახურდია აჭარაში

მიწისძვრით დაზარალებული რაიონების მონახულების შემდეგ თანმხლებ პირებთან ერთად აჭარაში ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

1 ივნისს სტუმრები და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე ეწვივნენ ბათუმის წმიდა ღვთისმშობლის ტაძარს, ესაუბრნენ ტაძრის წინამძღვარს მამა დავითს. შემდეგ პრეზიდენტი მთიან აჭარაში წავიდა. ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში იგი შეხვდა სოფლების მცხოვრებთ, გამოვიდა მათ წინაშე.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მადლობა გადაუხადა აჭარის მოსახლეობას და ადგილობრივ ამომრჩევლებს პრეზიდენტის არჩევნებში ერთსულოვანი მხარდაჭერისათვის, ილაპარაკა საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, ეროვნული მოძრაობის განვითარებაში აჭარის როლსა და მნიშვნელობაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

— აჭარამ ბევრი უბედურება გადაიტანა, მაგრამ სულით არ გატეხილა, — ხაზგასმით აღნიშნა მან. — ამ მხარეში დაირწა ქრისტიანობის აკვანი. სწორედ აქედან დაიწყო და შემდეგ მთელ საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობა. ვგრძნობ აქ დღესაც ჰყარობს ძლიერი ქრისტიანული სული. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ პატივი არ ვცეთ და ანგარიში არ გავუწიოთ იმათ, ვინც მუსულმანურ სარწმუნოებას აღიარებს. ახალი საქართველო სინდისისა და რწმენის თავისუფლებას უზრუნველყოფს არა მარტო ქაღალდზე, როგორც ეს იყო კომუნისტური რეჟიმის დროს, არამედ ფაქტობრივადაც.

ბატონი ზვიად გამსახურდია იყო სხალთის მონასტერში (ხულოს რაიონი), 1989 წლის 19 აპრილს სოფელ წაბლანაში დატრიალებული ტრაგედიის ადგილას, და პატივი მიაგო დაღუპულთ.

შეხვედრების დროს პრეზიდენტმა ილაპარაკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სვე-ბედზე. აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პოზიცია ნათელია — ავტონომიის საკითხი თვით აჭარის მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, და არა ვინმე სხვამ.

განიხილეს აჭარის უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების საკითხი. აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მას. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გამოთქვა რწმენა, რომ აჭარის მოსახლეობა ამ კამპანიაში ისეთივე სწორ არჩევანს გააკეთებს, როგორც რეფერენდუმისა და პრეზიდენტის არჩევნების დროს. ჩვენ ხელს გავუწვდით იმათ, ვინც სამუდამოდ გაწყვეტს კავშირს იმპერიასთან, ვინც ემსახურება თავისუფალ საქართველოს, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

2 ივნისს ბატონი ზვიად გამსახურდია ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონის მცხოვრებლებს ეწვია და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

3 ივნისს პრეზიდენტს შეხვედრები ჰქონდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქალაქო თეატრში.

თამაზ გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

საუბარი თურქ ჟურნალისტებთან

თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთის „თურქიას“ წარმომადგენლები — რედაქტორი ევროპის დეპარტამენტის დარგში ბილალ ქაჩაკი და ეკონომიკური მიმომხილველი ენგინ სენოლი მიიღო 1 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მურმან ომანიძემ.

საბაზრო ეკონომიკაზე პრაქტიკული გადასვლის პერიოდში ეკონომიკის ეროვნული მოდელის სტრუქტურულ-ორგანიზატორული ჩამოყალიბებისა და ამოქმედების, სამართლის, კულტურის, განათლების, საერთაშორისო ურთიერთობის, უპირველეს ყოვლისა კი თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ინტენსიურობის გაზრდის საკითხები, — ასეთი მრავალფეროვნებით გამოირჩა გამართული საუბრის თემატიკა. ბატონმა ომანიძემ ვრცელი ინტერვიუ მისცა თურქ ჟურნალისტებს.

სტუმრებმა ბატონი მურმან ომანიძე იგლას ჰოლდინგის კორპორაციის სახელით თურქეთს მიიწვიეს.

საქინფორმი.

საკუთარ სახლში

ლიტველები—ქართველების მხარდამხარ

დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის პრესკონფერენცია

საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ლიტვის დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარესთან რიმგაუდას ელინავიჩუსთან და მის მოადგილესთან ვილას კავალიაუსკასთან. შეხვედრას ესწრებოდნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ლიტველები საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით ჩამოვიდნენ და მიზნად დაუსახავთ გაეცნონ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, მათ განსაკუთრებული სურვილი გამოთქვეს გაეცნონ ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ვითარებას: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას და პრეზიდენტის არჩევას. სურთ სოლიდარობა გამოუცხადონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, ანალოგიური ნაბიჯი გადადგან სრული თავისუფლებისათვის და მათთან ერთად იბრძოლონ.

პრესკონფერენციაზე, რომელიც გახსნა საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ, ყურადღება გაამახვილეს ლიტველთა და ქართველთა ერთობლივ მისწრაფებაზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ორივე ქვეყნის ჟურნალისტებს. ისინი ხომ ერთ საერთო ტკივილს, საერთო პრობლემას მოუცავს.

სტუმრები ორ ძირითად მომენტს შეეხნენ: ლიტვაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს და ლიტვური ჟურნალისტიკის პრობლემებს.

— თქვენი პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან ჰგავს ჩვენსას, — თქვა ლიტვის დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ვილას კავალიუსკასმა. ჩვენ ვართ პირველები, რომლებიც სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თქვენნაირადვე ვიბრძვით.

ვილას კავალიუსკასმა ილაპარაკა ლიტვის საზოგადოების სადღეისო პოლიტიკურ ვითარებაზე. კერძოდ მან აღნიშნა, რომ ლიტვას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოთხი თვე ჰქონდა სრული ბლოკადა. იმდენად რთული იყო მათი ყოფა, რომ კერძო მანქანას წვეთ ბენზინს არ აძლევდნენ; რომ ლიტვა და საქართველო თავიანთ ბრძოლაში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, რომ საქართველოს რესპუბლიკას აქვს ინსპირირებული პრობლემა სამაჩაბლოს სახით, ლიტვას კი პოლონეთის პრობლემა იქ მაცხოვრებელი მცირერიცხოვანი რუსეთის სახით. მაგრამ ამას, ყოველივეს ჩვენ დავძლევთ და არ შევიცვლით გზას. იმედია, რომ არც თქვენ შეუშინდებით პრობლემებს.

ლიტვის დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ილაპარაკა იმ პერიოდზე, როცა სირთულეები შეექმნათ და ძნელ პირობებში გამოდიოდა ლიტვის რესპუბლიკის პრესა. 13 იანვარს, როცა ჯარის ნაწილები თავს დაესხნენ ლიტველ ჟურნალისტებს, ჟურნალ-გაზეთებისა და რადიოს მუშაკებს, და ჯარისკაცებმა პრესის სახლი აიღეს, ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა. ისინი სხვა შენობას შეეხიზნენ და იქიდან შეუფერხებლად ავრცელებდნენ ინფორმაციას დამპყრობლთა წინააღმდეგ. ლიტველი ჟურნალისტები ვაჟკაცურად შეხვდნენ ყოველგვარ გასაჭირს. არც მუშაობა შეწყვეტილა და ოპერატიულადაც გადასცემდნენ ნებისმიერ ინფორმაციას.

მაგრამ კონფერენციაზე უფრო მეტად შეეხნენ გადაუჭრელ პრობლემებს. სტუმრები ჩამოსული არიან უფრო იმიტომ, რომ გააფორმონ ხელშეკრულება ლიტვის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირსა და საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირს შორის. მათ მოითხოვეს ლიტველებისა და ქართველების კიდევ უფრო მეტი შეკავშირება, კონტაქტების გაღრმავება, მოქმედების კოორდინაცია და დაძლევა საინფორმაციო შიმშილისა, რომელიც არსებობს ამ ორ რესპუბლიკას შორის.

პრესკონფერენციაზე ქართველმა ჟურნალისტებმა მრავალი შეკითხვა დაუსვეს სტუმრებს.

იზა ჯაჭვაძე.

ქართველი ერი პატივს მიაგებს წმინდა ნინოს

1 ივნისს სრულიად საქართველოს მართმადიდებელმა ეკლესიამ, ქართველმა ერმა დიდის პატივით აღნიშნეს წმინდისა დედისა ჩვენისა, ქართველთა განმანათლებლისა, მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოს საქართველოში შემოსვლა. 323 წელს შემოვიდა საქართველოში კაბადოკიელი ქალწული თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით.

ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკის) მიწაზე თავფარავნის ტბასთან მას მწყემსები შეხვდრიან. ქალწულს უკითხავს, სად არისო ქალაქი მცხეთა. მწყემსებმა აუხსნეს, თუ როგორ და რა გზით შეიძლებოდა იქ მისვლა. წმინდა ნინო ფეხშიშველა თავისი ჯვრით მოსულა მცხეთას და მამაზეციერს ქართლის მოქცევას შევედრებია... იგი ქართველთა გაქრისტიანების მესაძირკვლეა.

შაბათს, 1 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს სამღვდელოებასთან და მრევლთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა ჯავახეთის მიწაზე წმინდა ნინოს სახელზე ღია ცის ქვეშ აღმართულ საკურთხეველში.

შემდეგ მორწმუნეთა დიდი ჯგუფი ფეხით გამოემართა მცხეთისაკენ იმ გზით, რომელიც ქართველთა განმანათლებელმა გაიარა.

კურთხეულ იყოს სახელი და ხსენება მოციქულთა სწორისა წმინდა ნინოსი.

სურათებზე: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წირვა-ლოცვას აღავლენს; წმინდა ნინოს ტრაპეზთან ღია ცის ქვეშ.

ბონდო დადვაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნიკო მუსხელიშვილის პატივსაცემად

6 ივნისს ჩვენს დედაქალაქში იხსნება საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც ატარებენ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმი ეძღვნება დიდი ქართველი სწავლულის, თანამედროვეობის გამოჩენილი მათემატიკოსისა და მექანიკოსის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 100 წლისთავს.

სამ სექციაში — დრეკადობის თეორია, მათემატიკური ფიზიკის განტოლებები, კომპლექსური ანალიზი და მისი გამოყენებანი — წარმოდგენილი იქნება საზღვარგარეთელი სტუმრების, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, შუა აზიის მეცნიერთა, აგრეთვე თბილისელ სპეციალისტთა მოხსენებები.

8 ივნისს ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგება საიუბილეო საღამო. წლევანდელი მუსხელიშვილიანა მთელ კვირას გასტანს.

თამაზ ებანოიძე.

„ქართლის ჭირსა მერმინ მოთმლის“...

პოეტის ეს ფრაზა თამამად შეიძლებოდა დევიზად წამძღვარებოდა საზოგადოება „ქართლის“ დამფუძნებელ კრებას, რომელიც ამ დღეებში საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა.

აქ ითქვა, რომ ქართლი — საქართველოს გული, თავისი გეოგრაფიული თუ ეკონომიკური პირობებით ის ბირთვი იყო, რომლის გარშემოც ერთ მტკიცე მუშტად იკვრებოდა ხოლმე სრულიად საქართველო. დღეს ძლიერ უჭირს ქართლს. ეთნოკრიზისები თუ დემოგრაფიული პრობლემები, დაქვეითებული ეკონომიკა თუ დარღვეული ეკოლოგიური ბალანსი, და ვინ მოთვლის იმ ჭირთ, ქართლი რომ უძლებს. სწორედ ამ და სხვა პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისათვის შეიკრიბნენ ამ დღეს ქართული საზოგადოების წარმომადგენლები. იმსჯელეს საქველმოქმედო საზოგადოება „ქართლის“ დაფუძნების თაობაზე, რომლის დაარსების იდეაც სწორედ ამ ინსტიტუტის სტუდენტებს ეკუთვნით. საზოგადოება გააერთიანებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მეცნიერებს და ყველას, ვისაც მშობლიური კუთხისთვის გული შესტკივა.

შეკრებაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ქართლის დღევანდელი მდგომარეობა დემოგრაფიულადაც სავალალოა. ქვემო ქართლის რეგიონში, ბარათაშვილებისა და ორბელიანების სადროშოებში დღეს ამ ძირძველი ქართული გვარის შვილები საერთოდ აღარ მოიძებნებიან. გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონებში ქართული მოსახლეობა დღეს უმცირესობას შეადგენს, რომ არაფერი ვთქვათ შიდა ქართლზე — სამაჩაბლოზე.

კრების მონაწილეებმა — ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პრორექტორმა აპოლონ კოზმანაშვილმა, ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტმა ზურაბ თაბუკაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორმა დავით პავლიაშვილმა, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა ოთარ თაბუკაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ომარ ვარძელაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ რობერტ პეტრიაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოება „ქართლის“ დაარსება არათუ დროული, აუცილებელიცაა. მან უნდა გააერთიანოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში დასაქმებული ყველა მამულიშვილი და რეგიონის მკვიდრნი. საზოგადოების მიზანი იქნება ქართლის სოციალური და კულტურული განვითარება, ამ კუთხის მოსახლეობის კონსოლიდაცია, მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენა, კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა ქრისტიანული ზნეობის დამკვიდრება. საზოგადოებას მჭიდრო კონტაქტები ექნება სხვა ამგვარ რეგიონალურ საქველმოქმედო საზოგადოებებთან.

კრების მონაწილენი გაეცნენ წესდების პროექტს. ჩამოყალიბდა საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის მამუკა ამინაშვილის თავმჯდომარეობით.

ა. გელაშა,
საქინფორმის კორ.

ბორჯომში ავტოტრანსპორტით შესვლა... ფასიანია

ასეთია ბორჯომის რაიონის პრეფექტურის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც რაიონის ტერიტორიაზე შემოსული და გამვლელი სხვა ქალაქების სახელმწიფო, კოოპერაციული და ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის მფლობელები თითოეული ავტომანქანისთვის საკურორტო ბაჟის სახით 5 მანეთს გადაიხდიან.

ამ გადაწყვეტილების კომენტარი ვთხოვეთ ბორჯომის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგეს მევლუდ გელაშვილს.

— ბორჯომის ხეობის საკურორტო რეგიონის განვითარებისათვის 1976 და მომდევნო წლების ცნობილმა მთავრობის დადგენილებებმა არავითარი სიკეთე არ მოგვიტანა, რადგან ფარატინა ქაღალდად დარჩა, — თქვა მან. — სანატორიუმების, პანსიონატების, ტურისტული ბაზების, დასასვენებელი სახლების შემოსავალი ცენტრის და საკავშირო უწყებებს ერიცხებოდა და ადგილობრივ ბიუჯეტში თითქმის არაფერი რჩებოდა. ჩვენს განკარგულებაში კურორტის კეთილმოწყობისათვის წელიწადში 250 ათას მანეთამდე თანხა იყო, რაც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. როდესაც შევიტყვეთ, რომ შარშანდელი წლის აგვისტოში შავიზღვისპირეთის კურორტ სოჭის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ავტოტრანსპორტზე ბაჟი დაუწესებია, ბორჯომშიც იგივე მოვინდომეთ, მაგრამ რაიონის მაშინდელმა პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ არ იზრუნა ამ საკითხის გადასაწყვეტად, გულგრილობის პოზიცია არჩია.

როდესაც რესპუბლიკაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და რაიონის პრეფექტად ხალხის ნებით არჩეული, ეროვნული პარლამენტის წევრი ნიკო ხაჭაპურიძე დაინიშნა, მან ოპერატიულად მოაგვარა საავტომობილო ტრანსპორტის გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებული პრობლემები.

კარგად გვესმის, ავტოტრანსპორტზე საკურორტო გადასახადის დაწესება იძულებითი ეკონომიკური ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს უნიკალური ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საავტომობილო გზების კეთილმოწყობას და სხვა აუცილებელ სამუშაოთა შესრულებას.

— როგორ გადაახდევინებთ გამვლელ ავტოტრანსპორტზე საკურორტო გადასახადს? — ვკითხეთ საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელს.

— ავტოტრანსპორტის მფლობელი რაიონის ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ყვიბისის ან ლიკანის სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო საგუშაგოზე გადაიხდის ბაჟს — 5 მანეთს, მძღოლს ეძლევა დათარიღებული ქვითარი, რომელიც მაგრდება ავტომანქანის წინა მინის მარჯვენა ქვემო კუთხეში. რაც შეეხება რაიონში მცხოვრებ საკუთარი მანქანების მფლობელებს, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მუდმივად მომუშავე სხვა ქალაქების სახელმწიფო, კოოპერაციული და ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის მძღოლებს, წელიწადში ერთხელ გადაიხდიან 50 მანეთს.

— ვინ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან?

— მრავალშვილიანი ოჯახები, I და II ჯგუფის შრომის ინვალიდები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი და ინვალიდები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები, რომლებსაც უნდა მიეცეთ დადგენილი ფორმის ბარათები.

— თქვენი ანალიზით, როგორი იქნება საავტომობილო ტრანსპორტზე ბაჟის დაწესებისაგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი?

— შემოსული თანხები ჩაირიცხება ბორჯომის აგრომრეწვბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე და მოხმარდება, როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე გზების შეკეთებისა და სხვა სახის კეთილმოწყობის სამუშაოებს. წინასწარი გაანგარიშებით, საბაჟო გადასახადის შემოსავალმა წელიწადში უნდა მოგვცეს 4 მილიონ მანეთზე მეტი, რაც საგრძნობლად აღემატება წინა წლებში კურორტის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილ წლიურ დაფინანსებას.

ამასთან ერთად მსურს კიდევ ერთ სიახლეზე გავამახვილო ყურადღება. საკურორტო რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა პრეფექტის ფონდი საწარმოების გაერთიანებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოოპერატივების, რიგითი მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე.

ბორჯომის ხეობის კურორტები ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ და სრულიად საქართველოსგან ველით თანადგომას, მხარდაჭერას, მატერიალურ დახმარებას. ვისაც ჩვენი კურორტების აღორძინება, საერთაშორისო დონემდე დაწინაურება სწადია შეუძლია სურვილისამებრ თანხა ჩარიცხოს ბორჯომის აგრომრეწვბანკში პრეფექტის ფონდის № 14232 ანგარიშზე. მოდით, საქმით დავამტკიცოთ მამულიშვილობა და ვის როგორ გვიყვარს დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო...

ესაუბრა
რობერტ ცუცქირიძე,
საქინფორმის კორ.

მილოცვები

„საქიმპექსი“, თბილისი ბ-ნ დევი ვერულეიშვილს

ჩვენ გავიგეთ, რომ მისი აღმატებულება, ბ-ნი ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. მას ხმა მისცა რესპუბლიკის მოსახლეობის 90 პროცენტმა. ვულოცავთ მის აღმატებულებას და საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას, რომელთაც წილად ხვდათ პატივი, რომ სსრკ ისტორიაში პირველად ყოფილიყვნენ პირველი და ერთადერთი ხალხი, რომლებმაც აირჩიეს თავიანთი წინამძღოლი (ლიდერი). ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი ერის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი იქნება შემდგომი კეთილდღეობის და რესპუბლიკის განვითარების საწინდარი მისი აღმატებულება, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი მილოცვა მის აღმატებულებას.

საუკეთესო სურვილებით
სერვეტ ეროგალი,
ფირმის „იზმირ დემირ ჩელიკ სანაიი“ ვიცე-პრეზიდენტი.
თურქეთი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ღირსსახსოვარი 28 ოქტომბრის არჩევნებში შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, მოსალოც ბარათში გწერდით, რომ ჭეშმარიტი აღმოჩნდა თქვენი მოწოდება ქართველი ხალხისათვის — „ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაა“...

ეს ჭეშმარიტება სამგზის სანატრელმა 26 მაისმაც დაადასტურა. რა ბედნიერი იქნებოდა დღეს ერის კაი ყმა მერაბ კოსტავა, თავის დაბადების დღეს თქვენთვის „ქრისტესმიერი ძმისათვის“, რომ შეელოცა ათგზის საყვარელი სამშობლოს პირველი პრეზიდენტობა.

სულკურთხეული კონსტანტინე ბატონი ბრძანებდა: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი არ აშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე.

უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება“.

ჭეშმარიტად ვალმოხდილმა იარეთ ერის წინაშე ყმაწვილკაცობიდან პრეზიდენტობამდე და გვწამს, რომ ასე ივლით საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე და შემდგომაც.

ბატონო ზვიად, ქართული ქორეოგრაფიული სამყაროს სახელით გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობას.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი სამშობლოსათვის საკეთებელ ყველა დიდ საქმეში.

პატივისცემით
საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ დიდი სიხარულით და მომავლის მტკიცე რწმენით გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას.

მთელს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ კულმინაციას მიაღწია და ერმაც გააკეთა ღირსეული, მტკიცე, თითქმის ერთსულოვანი არჩევანი. ხალხის ნებით, ამიერიდან საქართველოს ჰყავს ნამდვილ დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული პირველი პრეზიდენტი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან სწორედ ბატონი ზვიად გამსახურდიაა ქართული ეროვნული მოძრაობის უტყუარი წინამძღოლი.

სრული თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე მრავალი დაბრკოლების დაძლევა მოუხდება ქართველ ხალხს, მაგრამ იგი ენდობა თავის აღიარებულ ლიდერს, სჯერა, რომ არაფერს დაიშურებს ხალხის ბედნიერებისათვის და აღორძინების გზაზე დააყენებს სრულიად საქართველოს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ბატონო ზვიად!

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“.

ბატონ ზვიად გამსახურდიას

მხურვალედ მოგესალმებით და გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტობას.

დარწმუნებულნი ვართ, თქვენი მამულიშვილური საქმიანობა მტკიცე საძირკველს ჩაუყრის შეუპოვარ ნებისყოფასთან შეჯერებულ მაღალჰუმანურ და ქრისტიანულ მმართველობას საქართველოში, რითაც ქართველი ერი თავის ნათელ სულიერ მისიას აღასრულებს.

ღმერთი იყოს თქვენი ყველა განზრახვის წინამძღოლი.

ეროვნულ-დამოუკიდებელი ექსპერიმენტული კინოსტუდია „+1“.

ბატონ ზვიად გამსახურდიას

ქართველი ერის მიერ აღიარებულო და ერის ღირსეულო შვილო, ბატონო ზვიად! გილოცავთ დამსახურებულ გამარჯვებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას. თქვენი სიცოცხლე ხომ სულმნათ მერაბ კოსტავასთან ერთად სამშობლოსათვის თავგანწირვისა და სიკეთის ქმნის ნათელი მაგალითია. ჩვენ გვწამს და გვჯერა თქვენი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენი კეთილშობილური მიზნების მისაღწევად. დიდებისა და გამარჯვების გზით ევლოს მრავალტანჯულ საქართველოს.

უფალი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

ნანული გუნია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

საქართველოს მწვანეთა განცხადება

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო ულოცავს ბატონ ზვიად გამსახურდიას გამარჯვებას საყოველთაო-სახალხო არჩევნებში და საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩევას და წარმატებას უსურვებს საქართველოს საკეთილდღეო საქმიანობაში.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევით საქართველოში პრაქტიკულად დასრულდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის საფუძვლების ჩამოყალიბება, რაც უეჭველად რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი წინამძღვარია.

საქართველოს მწვანეები კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ გვსურს და მზად ვართ ფართოდ ვითანამშრომლოთ საქართველოს ხელისუფლებასთან.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო.

სტიქია

მიწისძვრის პირველი გაკვეთილები

წარმოუდგენელი უბედურება დაატყდა სრულიად საქართველოს, ჩვენს მშვენიერ რაჭას, თვალწარმტაც ზემო იმერეთს, მრავალჭირნახულ შიდა ქართლის რაიონებს — გაუგონარი ძალის მიწისძვრა, რომელიც თავისი სიმძლავრით აღემატებოდა უკანასკნელ პერიოდში გახმაურებული სპიტაკის (1987 წლის 8 დეკემბერი) და კალიფორნიის შტატის ლომა პრიეტის (1989 წლის 17 ოქტომბერი) მიწისძვრებს. ფართო საზოგადოებამ უკვე იცის, თუ თვალის დახამხამებაში სტიქიამ როგორ დაანგრია საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ეკლესიები. დაიღუპა ათეულობით ადამიანი. ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა სტიქიას გადარჩენილი ათი ათასობით დიდ-პატარა. დანაპრალდა, დაიბზარა სავარგულები, ფერდობები, გზები. არის სოფლები, რომელიც კი არ დაინგრა, არამედ მისგან მარტო სახელიღა დარჩა.

დადგენილია, რომ ამჟამინდელი სეისმური მოვლენები გამეორდა წინანდელ ეპიცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით 600 კვადრატულ კილომეტრს. ცალკეულ უბნებზე მიწისძვრის ძალამ 9 ბალამდე მიაღწია. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ამ რეგიონში ეს მეორედ ხდება ჩხალთის მიწისძვრის შემდეგ. ამჟამინდელმა მიწისძვრამ უფრო დიდი რეგიონი მოიცვა.

პირველივე დღეს უბედურების ადგილზე გაჩნდა მთელი საქართველო. ჩვენი და მეზობელი რესპუბლიკებიდან ჩამოსული მაშველი რაზმები ეხმარებიან დაზარალებულებს.

რაჭის, იმერეთის, შიდა ქართლის მიწისძვრაზე უკვე საკმაოდ დაიწერა. დადგა დრო ფხიზლად გავაანალიზოთ პირველი გაკვეთილები, შევაფასოთ ჩვენი რეალური შესაძლებლობანი, მიმართულნი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

მიწისძვრისაგან გამოწვეულმა კატასტროფებმა გამოამზეურეს პრობლემები, რომელთა დროული გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მიყენებული ზარალის სიდიდე ან მომავალი მიწისძვრის დროს მოსალოდნელი ზიანის მასშტაბები.

რამდენადაც მოგვცემს საშუალებას საგაზეთო სტატიის მოცულობა, მოვიყვან ჩვენი და საზღვარგარეთის გამოცდილებას, თუ რა ღონისძიებებით უნდა შევამციროთ მიწისძვრისაგან მოყენებული ზარალი. რასაკვირველია, ამ ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს დამატებით საკმაოდ დიდ თანხებს და რესურსებს, რომელთა დაზოგვა, როდესაც ადამიანების სიცოცხლე საფრთხეშია, უგუნურებად უნდა ჩაითვალოს.

გამოცდილება გვკარნახობს, რომ მყისვე, როგორც კი მიწა იძვრის, უნდა ვემზადოთ მომავალი სტიქიის უვნებელსაყოფად, რადგან ამ მოვლენის გამეორების ალბათობის მთლიანად გამორიცხვა ამჟამად არავის არ ძალუძს, თუმცა ასეთი ალბათობის სიდიდეს მეცნიერები ძალიან მცირედ მიიჩნევენ. განსაკუთრებით საშიშია ახალი, თუნდაც მცირე ძალის მიწისძვრის დროს უკვე წინა სტიქიით დაზიანებული, დასუსტებული ნაგებობანი.

სამწუხაროა, რომ მეცნიერებს როგორც ჩვენში ისე საზღვარგარეთ ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ, მხოლოდ ცხოველები, საქონელი რამდენიმე საათით ადრე გრძნობენ მოახლოებულ სტიქიას. ამბობენ, ასე იყო ამჟამადაც სოფელ შქმერში. საქონელი დილიდანვე გარინდული იყო და საჭმელსაც არ ეკარებოდა, ძაღლებმა უმიზეზოდ დაიწყეს ყეფა.

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები პირველი წუთებიდანვე დაიწყო. საჭიროდ მიგვაჩნია იმ პირველი რიგის ავარიული მაშველი სამუშაოების ჩატარებასთან ერთად, რომელიც უკვე მიმდინარეობს, აღვნიშნოთ ზოგიერთი საკითხი, რომელთა გადადებაც დაუშვებელია.

სამი წლის წინათ მსოფლიო შეძრა სპიტაკის მიწისძვრამ. ეს გამაფრთხილებელი ზარი, რომ კავკასიაში სიმშვიდე დაირღვა, სამწუხაროდ არ იყო ჯეროვნად შეფასებული. მით უმეტეს ამ მიწისძვრას წინ უსწრებდა იმ რეგიონში ჩხალთის მიწისძვრა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სტიქიით მიყენებულ უბედურებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი — ადამიანის დაღუპვა ძალიან იშვიათადაა გამოწვეული მიწის უშუალო ძვრებით და ბიძგებით. მიწისძვრის დროს ადამიანები იღუპებიან და სახიჩრდებიან მაშინ, თუ შენობის ნანგრევებში მოყვებიან, კედლის ნამტვრევები, ქვები, აგური, მინის ნამსხვრევები დაეცემათ. ხშირად ადამიანები მოსაპირკეთებელი ფილების, ბათქაშის, მძიმე საგნების მსხვერპლი ხდებიან. ადამიანთა დაღუპვის მიზეზი არც ისე იშვიათად ხანძარია, რომელსაც ელექტროგაყვანილობის, გაზგაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლა იწვევს.

სპიტაკში დატრიალებული ტრაგედიის, ადამიანთა ესოდენ დიდი მსხვერპლის ძირითად მიზეზად ის მიაჩნიათ, რომ სუსტი იყო სახლების მდგრადობა, კონსტრუქციები, ბევრი აკლდა ცემენტი ბეტონს და რკინა-ბეტონს, შეუდუღებელი იყო კოლონებში არმატურის პირაპირები, ბევრ შემთხვევაში, რასაკვირველია, პროექტის ნაკლოვანებებიც ხელს უწყობდა ნგრევას. სახლების და ნაგებობების ნგრევის ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ მათი აშენების დროს საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა სეისმურ დატვირთვებს და კედლების ამოყვანის დროს საჭირო არმირებას.

ცნობილია, თუ როგორ აქარწყლებს მშენებლობის დაბალი ხარისხი და კულტურა ყველაზე [illegible] გადაწყვეტასაც კი. ობიექტების ხარისხისა და საიმედოობის ამაღლება მშენებლობისას განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კატასტროფებით მიყენებული მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ კალიფორნიაში მომხდარი მიწისძვრის სიმძლავრე იყო 7,1 ბალი რიხტერის სკალით, ხოლო სომხეთში — არ აღემატებოდა 6,9 ბალს, მაშინ როდესაც ზარალი, მსხვერპლის მასშტაბი სომხეთში შეუდარებლად დიდი იყო.

სპიტაკშიც და ჩვენშიც მიწისძვრისაგან გამოწვეული დიდი ზარალი ძირითადად აიხსნება მშენებლობის ცუდი ხარისხით, ლიბერალური ნორმატივებით, კონსტრუქციების უხარისხო შედუღებით, შენობების საექსპლუატაციოდ მიღების არასრულყოფილი წესით, მშენებლობის გასაიაფებლად სეისმური საფრთხის შემცირებით.

მიწისძვრების დროს განსაკუთრებით საშიშია მოპირკეთებული შენობები. სამწუხაროა, რომ ეს მოპირკეთება უკანასკნელ დროს მოდად იქცა. საჭიროა თუ არაა საჭირო, ყველგან იყენებენ ამ ძვირადღირებულ და ადამიანისათვის საშიშ მეთოდს შენობის გალამაზებისას.

უეჭველია, რომ ავარიების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებით მიყენებული ზარალის მასშტაბები საგრძნობლად შემცირდება მხოლოდ მაშინ, თუ სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები, მათი დამკვეთი ორგანოები შეიგნებენ, რომ საჭირო და აუცილებელია ტექნიკური ზედამხედველობის ქმედითი სისტემის შექმნა, არა მარტო დასრულებული ობიექტის, არამედ სამუშაოს ყოველი დასრულებული საფეხურის ობიექტური, პროფესიული, კვალიფიციური, სრულყოფილი შემოწმება.

სახლების, ნაგებობების უდიდესი უმრავლესობა არა მარტო სოფლებსა და რაიონებში, არამედ ქალაქებშიც, თვით თბილისშიც კი არ შეესაბამება სეისმომდგრადობისაგან წამოყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, ამრიგად, სტიქიის კერებში მცხოვრებთა რისკი ისე დიდია, რომ მთავრობის წინაშე დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საკითხი სასწრაფოდ შედგეს პროგრამა რესპუბლიკაში ნაგებობათა სეისმომდგრადობის გასაზრდელად. ეს პროგრამა აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თუნდაც რომ დაგვჭირდეს ახალი მშენებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

სტიქიის კერაში, რომელიც, როგორც ცნობილია, საკურორტო ზონაა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ მშენებლობის ხარისხს, ნაგებობათა საიმედოობას. ეს ჩვენი, როგორც საკურორტო ინდუსტრიის მქონე ქვეყნის, პრესტიჟის საქმეა.

არსებულ და მშენებარე ნაგებობათა საიმედოობის გაზრდა მოითხოვს ინსპექციის სამსახურის სრულყოფას. ეს უეჭველია საშუალებას მოგვცემს მომავალში შევამციროთ სხვადასხვა ობიექტებზე ავარიული მდგომარეობის წარმოშობის შესაძლებლობა.

ამრიგად, ჩვენც და ჩვენს შვილებსაც რომ მშვიდად გვეძინოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაშენოთ ხარისხიანად, საიმედოდ და კეთილსინდისიერად.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის, რომ რეგიონში სახლების, ნაგებობათა კომუნიკაციების არნახულ ნგრევა-დაზიანებასთან ერთად დაიბზარა, დანაპრალდა სავარგულები, გზები, ფერდობები, საგრძნობლად შეიცვალა რეგიონში ისტორიულად დამკვიდრებული რელიეფის სახე და კონტურები. მეწყერებმა გადაკეტეს ხევები, ღელეები და მდინარეები. დასერილი, დანაპრალებული, დანგრეული, დაიარებული, გაფხვიერებული ფერდობები, მთისწინეთი უეჭველია პირველ წვიმებთან ერთად გამოაღვიძებს ჩვენი დედა ბუნების დაუძინებელ მტერს — ეროზიას. კიდევ უფრო გაძლიერდება ნიადაგების დაშლა, დანგრევა, დაიწყება ღვარცოფები, წყალდიდობა.

სწორედ ახლომდებარე მთისგან მომწყდარი მასისაგან წარმოქმნილმა ღვარცოფმა მთლიანად დაფარა სქელი ფენით სოფელი ხახიეთი. მთიდან ჩამოშლილმა მეწყერმა და ღვარცოფმა მიწის ქვეშ მოაქცია 25 ოჯახი. დაიღუპა 60 კაცი. მეწყერმა გადაკეტა მდინარე, რომელიც ახალი საშიშროების კერად იქცა. ეს მოითხოვს ყურადღების კიდევ უფრო გაძლიერებას ეროზიისადმი.

ცნობილია, რომ მიწისძვრით გამოწვეულ სტიქიებს (მეწყრებს, მდინარეთა გადაღობვას, ქვათა ცვენას, წყაროების დაკარგვას, გაჭუჭყიანებას და სხვა) თუ მეტი არა, ნაკლები ზიანის მოტანა როდი შეუძლია გაუბედურებული მოსახლეობისათვის, მეურნეობის მრავალი დარგისათვის. ამიტომ ეს მოვლენები მოითხოვს განსაკუთრებულ გაძლიერებულ ყურადღებას სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტებისაგან.

სეისმურად აქტიურ რეგიონებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი სასიცოცხლო არტერიები, როგორიც წყალსადენია. საჭიროა შემოწმდეს წყაროების, წყალსადენის სათავეების სეისმომდგრადობა, ვინაიდან მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიწისძვრის ხშირი თანამგზავრ ხანძართან საბრძოლველად ხშირად წყალი არ არის ხოლმე. ჩვენს ქალაქებში ამ მხრივ საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი. ამის განხორციელება, რასაკვირველია, დიდ დანახარჯებს და დროს მოითხოვს, მანამდე საჭიროა, რომ ჩვენი სახანძრო რაზმები აღიჭურვონ სათანადო მოწყობილობით.

ყურადსაღებია, რომ მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში მიწის ზედაპირზე, ფერდობებზე ბზარების და ნაპრალების სიმრავლე საშიშს ხდის მიწისქვეშა წყლების, წყაროების სისუფთავეს. იზრდება მათი დაჭუჭყიანების რისკი. ამიტომ საჭიროა გავაანალიზოთ გაჭუჭყიანების კერები და მივიღოთ ყველა ზომა სასმელი წყლის სისუფთავის უზრუნველსაყოფად. საჭიროა, რომ ჩვენი, როგორც მინერალური, ასევე სასმელი წყალი ეროვნულ სიმდიდრედ გამოვაცხადოთ და უზრუნველვყოთ მასზე სათანადო ზრუნვა.

ამჟამად არც ჩვენთან და არც საზღვარგარეთ არ არსებობს მეწყერის თავიდან აცილების ქმედითი საშუალება, მაგრამ შესაძლებელია ახლო მაცხოვრებლების დროულად გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ დაკვირვების ავტომატური სისტემა, რომელიც გაგვაფრთხილებს მეწყერის აქტივობის შემთხვევაში, ან უბრალოდ გავაანალიზოთ ცოცვის ინტენსივობის ზრდაზე დაკვირვების მონაცემები.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მიწისძვრის შედეგად სტიქიის რაიონებში დაზიანდა ხიდების, სხვა ჰიდრონაგებობების ფუძე-საძირკვლები. ეს კი საწინდარია იმისა, რომ პირველი წყალდიდობის მსხვერპლი ეს ობიექტები გახდება საძირკვლების წყლის ნაკადით გამორეცხვის გამო. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხიდების და სხვა ნაგებობათა საძირკვლების გადაუდებელი დათვალიერება, შემოწმება, გამაგრება და ხიდებისა და სხვა ნაგებობათა ახლომახლოს ავარიული სიტუაციისათვის საკმარისი მასალის მარაგის შეტანა. თუ ეს რატომღაც არ მოხერხდა, საჭიროა უბედურების თავიდან ასაცილებლად ხიდებზე მოძრაობას გაეწიოს მკაცრი კონტროლი.

ყოველივე ამის გამო სასიცოცხლო კომუნიკაციებზე გადაუდებლად გასაწევი სამუშაოების შემდეგ პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ იმ ობიექტების მოწესრიგებას, რომლებიც თვითონ შეიძლება გახდეს ახალი კატასტროფის მიზეზი (მეწყერსაშიში ფერდობები, ხიდები, ჯებირები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები და სხვა).

კატასტროფებისაგან მოყენებული ზარალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი ხელმძღვანელის და მცხოვრების თვითდამშვიდება, განსაკუთრებით მიწისძვრის ტრადიციულ კერებში.

მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაცია ძირითადად სამ მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავს. პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებები, აღდგენით-სარეკონსტრუქციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. პირველი ორი უკვე დაწყებულია, რასაც ვერ ვიტყვით ბოლო მიმართულებაზე. ამ მიწისძვრამ თვალნათლივ გვაჩვენა, რომ ჩვენში მიწისძვრების, და არა მარტო მიწისძვრების, არამედ სხვა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების საწინააღმდეგო ღონისძიებათა კვლევა-გაფართოებას საჭიროებს არა მარტო სპეციალიზებული, არამედ სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებიც. კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს მიწის და წყლის რესურსების დაცვას, გრუნტების კვლევას, რამეთუ ისინი დიდ როლს ასრულებენ ნაგებობათა სეისმომდგრადობაში. აღსანიშნავია, რომ ის ავტოსტრადა კალიფორნიაში, რომელიც უვნებელი დარჩა, განლაგებული იყო მყარ გრუნტებზე.

ხის სახლების სიმდგრადე მიწისძვრის დროს ხომ არ გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ამ ტიპის ნაგებობას უდროოდ შევაქციეთ ზურგი, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ამ ტიპის შენობების სხვა მრავალ დადებით მხარესაც. ხომ არ დადგა დრო გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს და დავუბრუნდეთ ტრადიციებს.

დროა ვიზრუნოთ როგორც ახალი ობიექტების, ასევე ნაგებობების რეკონსტრუქციის სეისმური, ნორმატივების გასამკაცრებლად, რათა გავზარდოთ ყველა ნაგებობის საიმედოობა, რაც რასაკვირველია გამოიწვევს ობიექტის გაძვირებას. იმათ, ვინც უკმაყოფილო იქნება გაძვირებით, უნდა შევახსენოთ, რომ როცა საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლეს, ეკონომიკა საზრიანობის ფარგლებში უკანა პლანზე უნდა გადავიდეს. ყურადსაღებია აგრეთვე ის, რომ მსოფლიო მონაცემების მიხედვით ანტისეისმური დაცვა ზრდის შენობის კარკასის ღირებულებას 1 პროცენტით, ხოლო ეს კარკასი კი თავის მხრივ ობიექტის ღირებულების მხოლოდ მეხუთედია.

რადგან ახალი შეცვლილი ნორმატივების შექმნას წლები სჭირდება, საჭიროა მივმართოთ ზარალის შემცირების სხვა საშუალებებს. საჭიროა გამკაცრდეს ცნობილი აქტიური ტექტონიკური რღვევის ზოლთან ახლოს მიწების გამოყენება. საჭიროა, რომ ეს საკითხი არავითარ შემთხვევაში არ წყდებოდეს სპეციალური კომპეტენტური კომისიის დასკვნის გარეშე. აღნიშვნის ღირსია, რომ არსებობს აშშ, აგრეთვე იაპონიის პოზიტიური გამოცდილება ასეთ ზონებში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობისა.

მომავალში სტიქიისაგან მოყენებული ზარალის შესამცირებლად მეტი ყურადღება უნდა მივაპყროთ მიწისქვეშა ნაგებობათა ფართო გავრცელებას. ჩვენი რელიეფის პირობებში ასეთი ნაგებობები შედარებით ადვილი განსახორციელებელია. მით უმეტეს როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ დაგროვდა საკმარისი გამოცდილება ობიექტების მიწის ქვეშ მშენებლობის დარგში.

სტიქიასთან ბრძოლის უპირველესი სამუშაოები მოითხოვს დაჩქარდეს სეისმური რუქის შედგენასთან ერთად ე. წ. ეკოლოგიური რისკის რუქის შედგენა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ბედმა კიდევ გაგვწირა, სტიქიისაგან გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ზარალი იყოს მინიმუმამდე დაყვანილი.

მიწისძვრამ, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ეკლესიებს. შემდგომი ნგრევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩვენი ამ სულიერი და მატერიალური სიმდიდრის უნიკალური ძეგლების აღჭურვა დეფორმაციის გამზომი მოწყობილობებით, რომელიც გაგვაფრთხილებს, თუ ამ ნაგებობას მდგრადობა შეუმცირდება. დროთა განმავლობაში, ალბათ, უნდა ვიზრუნოთ ამ ძეგლების სეისმომდგრადობის გასაზრდელად მათი საძირკვლების სპეციალური იზოლაციის მოწყობით. იზოლატორების გამოშვება, რომელიც ავტომანქანების ამორტიზატორების მსგავსია, უკვე დაწყებულია აშშ-ში.

წლევანდელი სტიქიის ეკონომიკური შედეგები დიდხანს დააჩნევს კვალს ჩვენს ცხოვრებას. საჭიროა, რომ საზოგადოებამ, მეცნიერებმა, მკვლევარებმა ძირფესვიანად გაანალიზონ მიწისძვრის გაკვეთილები. ინტერესს მოკლებული არ იქნება ცნობა იმის შესახებ, რომ კალიფორნიის ამასწინდელი მიწისძვრის ლიკვიდაციაზე დახარჯულმა თანხებმა უკვე მიაღწია 10 მილიარდ მანეთს. ნავარაუდევია კიდევ 10 მილიარდის დახარჯვა. თანხების მობილიზაციის მიზნით საჭიროდ მიმაჩნია მთავრობამ განიხილოს სახელმწიფო დაზღვევის წესების სრულყოფა. ალბათ, მართებული იქნება რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარების დაფინანსების დაკავშირება დაზღვევის ფონდთან.

სხვადასხვა ნაგებობათა პროგრესირებადი მოძველება და ამ მიზეზით საიმედოობის შემოსაზღვრულ მაჩვენებლიანი მომუშავე ობიექტების რიცხვის ზრდა, მიწისძვრის დროს მათი მწყობრიდან გამოსვლა, ნგრევაც კი ჩვეულებრივი ნორმალური პროცესია ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტებისათვის. ამასთან დაკავშირებით საექსპლოატაციო და მომსახურე ორგანიზაციების წინაშე დგება რეკონსტრუქციის ფართო პროგრამის განხორციელების აუცილებლობა. განსაკუთრებით მკაცრად დგება საიმედოობის, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების საკითხი იმ ამორტიზებული ობიექტებისათვის, რომლებიც აშენებულია რამდენიმე ათეული წლის წინ.

კატასტროფის რისკის შესამცირებლად საჭიროა უნიკალური ძეგლების გარდა საკმარისად დიდი ნაგებობებიც აღვჭურვოთ სხვადასხვა საკონტროლო-გამზომი აპარატურით. გადაუდებლად საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება. თანამედროვე აპარატურის მეშვეობით შეიძლება შევაფასოთ და გავაანალიზოთ ნაგებობათა მდგომარეობა და შევიმუშაოთ სათანადო ღონისძიებები ავარიული სიტუაციის პროგნოზირებისათვის, მის ასაცილებლად, ან შესამცირებლად.

ბევრ ქვეყანაში ჩამოთვლილი საკითხების გადასაწყვეტად შემუშავებულია უსაფრთხოების კანონმდებლობა. პერსპექტივაში, ალბათ, არცთუ ისე შორეულში, მიღებული უნდა იყოს უსაფრთხოების ზღვარი. საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა შევარჩიოთ მოთხოვნილების ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების საჭირო დონეს.

მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი მოითხოვს ამ მიმართულებით ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფას. ამრიგად, მომავალი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მიწისძვრის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო აქტების შემუშავება, საკანონმდებლო აქტებისა, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საშიშ კერებში მშენებლობის ხასიათი, ხარისხი, პასუხისმგებლობა, ათვისების მასშტაბი და წესი.

ჯერჯერობით უსაფრთხოების გაზრდა მოითხოვს, რომ ნებისმიერ რეგიონში უყურადღებოდ არ დარჩეს ყოველი ისეთი არანორმალური გამოვლინება, როგორიცაა მიწისქვეშა წყლების ხარისხის ცვლილება და ცხოველების არანორმალური ქცევა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძირითადი პარამეტრებიდან ნებისმიერ გადახრაზე დაუყოვნებლივ კვალიფიციური რეაგირება მკვეთრად ამცირებს დანგრეული ობიექტების რიცხვს.

ავარიულად საშიში ობიექტების უსაფრთხოების ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებათა დამუშავებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად უნდა ჩაითვალოს ავარიის მიზეზების ღრმა ანალიზი. საინჟინრო თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია უკვე მომხდარი კატასტროფის გაკვეთილებიდან შესაბამისი დასკვნების გაუკეთებლობა. ამიტომ არსებული ობიექტების სეისმომდგრადობის გაზრდა მათი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სტიქიის კერაში აგრეთვე რესპუბლიკის სხვა რაიონებში სეისმური უსაფრთხოების ამჟამინდელი მდგომარეობა არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას, არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ მიღწეულით მანამდე, სანამ არსებობს პოტენციურად საშიში თუნდაც ერთი ობიექტიც კი.

ცოტნე მირცხულავა,
აკადემიკოსი, საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების დარგში.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ სტიქიისაგან დაზარალებულთა ფონდში.

თანადგომა

იმედი ძალაა

შტაბი წარმართავს აღდგენით სამუშაოებს

არაფერი არ სტანჯავს კაცს ისე, როგორც ახლობელი ადამიანის დაღუპვა, ცქერა დანგრეული სახლ-კარისა და ყოველივე იმისა, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე, გარჯა-შრომით შეგიქმნია და რაღაც წამებში ნაცარტუტად ქცეულა.

ერთი თვე გავიდა იმ დამანგრეველი მიწისძვრიდან, მრავალი დღე, კვირა, მრავალი წელი და შეიძლება საუკუნეც გავა, ხალხს კი მოუშუშებელი დარჩება ღრმა იარები. ერთადერთი იმედი ისევ ადამიანები არიან, ცოცხლად დარჩენილები, რომელთა ვალია ჭირსა შიგან გამაგრება, ცხოვრების კალოს წალმა მოტრიალება, ციხე-ტაძრების აღდგენა და ახლის შენება.

ვისაც შებინდებისას საჩხერესა და ჭიათურაში გაუვლია, შენიშნავდა სოკოებივით ამოსულ კარვებიდან პირდაპირ ცენტრალურ ქუჩაში გამოსულ ადამიანებს, დიდი და პატარა კოცონს რომ მიფიცხებია. ჭიათურასა და საჩხერეში დაინგრა და დაზიანდა ათეული წლების წინათ აშენებული მრავალსართულიანი შენობები და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ზოგიერთი გარეგნულად თითქოს ამაყად დგას, მაგრამ საცხოვრებლად აღარ გამოდგება.

მიწისძვრით გამოწვეული ნგრევა იმდენად დიდი იყო, რომ მარტო საჩხერეში დაინგრა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა 7 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, სკოლების 80 პროცენტი, საწარმო-დაწესებულებების ნახევარი, დანგრეულია საბავშვო ბაღები, რკინიგზისა და ავტოსადგურები, ხიდები, გზები, ელექტროკომუნიკაციები, გაზგაყვანილობები, კანალიზაცია, და რაც ყველაზე სამწუხაროა დაიღუპა 73 და დაშავდა 300 კაცი.

მიწისძვრის შედეგად ჭიათურაში დაიღუპა 2 ადამიანი, დაინგრა 3 ათასამდე საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებლად უვარგისი და აღსადგენია 5258 სახლი, ასაშენებელი და აღსადგენია 94 სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება, ჯანმრთელობის დაცვის 38 ობიექტი, სოციალურ-კულტურული დანიშნულების 21 ობიექტი, დაინგრა ხიდები და ზოგიერთ სოფელში მისასვლელი გზები, შეწყდა ბუნებრივი გაზის მიწოდება და სხვა.

მიწისძვრით გამოწვეული ზარალი ზემო იმერეთის ამ ორ რეგიონში იმდენად დიდია, რომ ნებისმიერ ძლიერ ქვეყანასაც კი შეაძრწუნებდა. ამ გაჭირვების ჟამს დაზარალებული საჩხერისა და ჭიათურის დასახმარებლად პირველი დღეებიდანვე ჩამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან ცალკეული რაზმები.

პირველი დახმარების ეტაპმა უკვე გაიარა. ეს იყო სურსათით მომარაგება, ბავშვებისა და ქალების გახიზვნა, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილება კარვებით, კვალიფიციურად წარმოებდა სამედიცინო მომსახურება, ათასობით დედა და ბავშვი გაყვანილია რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე და უფასოდ კვებავენ.

მიუხედავად ამ დიდი დახმარებისა და თანადგომისა, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა ელოდება უმთავრესს: დანგრეულის სამაგიეროდ ახლის აშენებას და დაზიანებულის აღდგენას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, პირადად რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ რამდენჯერმე მოინახულეს მიწისძვრით დაზარალებული საჩხერისა და ჭიათურის რეგიონები. პრეზიდენტის საუბრებში გამოვლინდა საჩხერისა და ჭიათურის მოსახლეობისადმი განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება, გულითადი თანადგომა.

საქართველოს მთავრობამ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროულად და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შექმნა სამშენებლო კომპლექსების საერთო ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის მაკოორდინირებელი შტაბი, რომელსაც სათავეში უდგას არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ ვაშაძე.

ბატონი თამაზი ჩვენი თანაქალაქელია, საუკეთესო მშენებლად ჭიათურაში ჩამოყალიბდა. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ახალგაზრდებისაგან შედგენილმა ბრიგადამ ჭიათურასა და საჩხერეში, მდინარე ყვირილას მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს აგო მრავალი მნიშვნელოვანი სამრეწველო თუ სოციალური დანიშნულების ობიექტი, რომლებსაც ახლა დამანგრეველმა მიწისძვრამ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა.

თუ არა თამაზ ვაშაძემ, უკეთესად ვინ იცის საჩხერისა თუ ჭიათურის სპეციფიკა, ხალხის ჭირვარამი, და მოსახლეობაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას.

სწორედ მისი ხელმძღვანელობით პრეზიდენტის არჩევნებამდე ორი დღით ადრე გაიმართა შტაბის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, გეოლოგები, სეისმოლოგები, ქალაქისა და სოფლების საკრებულოთა ხელმძღვანელები, იმ სამშენებლო ტრესტების მმართველები, მთავარი ინჟინრები, რომლებსაც დავალებული აქვთ ჭიათურისა და საჩხერის რეგიონში მიწისძვრით დანგრეული და დაზიანებული შენობების აღდგენა.

მოისმინეს შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენელთა ინფორმაციები განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ, კერძოდ, გამოვიდნენ საჩხერისა და ჭიათურის სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელები — თბილმშენის ტრესტის მმართველი ილია ქევხიშვილი და რუსთავის № 1 ტრესტის მმართველი ზაურ კაპანაძე. მათ აღნიშნეს, რომ სამშენებლო ტრესტები ცალკეულ სოფლების მიხედვით უკვე შეუდგნენ აღდგენით სამუშაოებს, მზადდება საფუძველი და ამ დღეებში დაიწყებენ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, დამთავრდება დაზარალებული ცალკეული სოფლების სამშენებლო ორგანიზაციებისათვის განაწილება, კარგად მუშაობს რესპუბლიკის საავტომობილო გზების კონცერნი, რომელმაც თითქმის ყველა სოფლის მიმართულებით დაიწყო გზების გაყვანა და მოპირკეთება, უნდა დაჩქარდეს ზოგიერთ სოფლებში გეოლოგიური საძიებო დასკვნები და საპროექტო სამუშაოები, გადაწყვეტას მოითხოვს სამშენებლო ბლოკებისა და ინერტული მასალების მომარაგების გაუმჯობესების საკითხი. ზოგიერთ სოფლებში მოსაგვარებელია მუშახელის კვება და დაბინავება. საჭიროა კავშირგაბმულობის სამსახურების გაუმჯობესება იმ თვალსაზრისით, რომ თბილისთან იყოს პირდაპირი კავშირი. დასაჩქარებელია მიწისძვრის ზონაში მოქცეული გადასასახლებელი მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა. საჩხერეში სასწრაფოდ ასაშენებელია ქალაქის ახალი საავადმყოფო, რადგან ძველის აღდგენა შეუძლებელია. მანამდე კი უნდა გაკეთდეს დროებითი ნაგებობა, სადაც შესაძლებელი გახდება ავადმყოფების მიღება და მკურნალობა.

როდესაც თ. ვაშაძემ შეაჯამა საჩხერისა და ჭიათურის რეგიონებში გაწეული მუშაობა, აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა და პირადად რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში მაქსიმალურად სწრაფად გაშალდეს აღდგენითი სამუშაოები.

მაგალითად, სომხეთი მეოთხე წელია ნანგრევებშია და 2000 კაცი დღესაც კარვებში ცხოვრობს. მათ ვერც საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებამ და ვერც პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ვერ აუშენეს საცხოვრებელი სახლები და ვერც საზღვარგარეთ მცხოვრებმა მილიონერმა თანამოძმეებმა თქვეს გადამწყვეტი სიტყვა. საქმე ის არის, რომ სომხეთში ჩასულებმა დაზარალებულები შუა მშენებლობის დროს მიატოვეს და წავიდნენ, სხვისმა მოიმედოობამ არ გაამართლა. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული ჩვენს ხელისუფლებას, ამიტომ მოუყარა რესპუბლიკაში არსებულ მთელ საშუალებებს თავი და გადმოისროლა ამ რაიონებში. საქართველოში არსად იწარმოებს მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები, სანამ არ აღადგენენ მიწისძვრით დანგრეულ და დაზიანებულ შენობებს.

იმ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც საჩხერესა და ჭიათურაში არიან მიმაგრებული, მიეთითათ, რომ დღემდე მათ მიერ მობილიზებული მუშახელი და სპეციალისტები, სამშენებლო ტექნიკა, ტრანსპორტი საკმარისი არ არის. უკვე დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, ფართო მასშტაბით გაიშალოს მუშაობა ყოველ სოფელსა და ცალკეულ დანგრეულ პუნქტში. სერიოზული საყვედური გამოითქვა სამშენებლო მასალების შემოზიდვაზე, კერძოდ, რუსთავის ცემენტის ქარხნიდან გამოსატანია 32 ათასი ტონა ცემენტი, ქსნის სამშენებლო ბაზიდან — საკედლე ბლოკები. შესაბამისი სამსახურის მუშაკები გააფრთხილეს, რომ ორი დღის ვადაში შემოზიდონ საჩხერესა და ჭიათურაში ამ ეტაპზე მშენებლობისათვის საჭირო ცემენტი, არმატურა, სამშენებლო ბლოკები, ცალკეულმა სამშენებლო ტრესტებმა თავიანთ სამშენებლო ბაზებში დაიწყონ სამშენებლო საკედლე ბლოკების გამოშვება. მოსაგვარებელია ცეცხლგამძლე აგურის შემოტანა პურის საცხობების დაზიანებული ღუმელების აღსადგენად.

შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არიან სოფლები, სადაც სამშენებლო ორგანიზაციები არ შესულან აღდგენითი სამუშაოების დასაწყებად, საპროექტო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ მიუციათ თავიანთი დასკვნები ცალკეული სოფლებისა და უბნების მიხედვით. საჩხერისა და ჭიათურის პრეფექტურების წინაშე დაისვა საკითხი სასწრაფოდ გადაწყვიტონ იმ მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ადგილის გამოყოფა, რომელთა გაჩერება მიწისძვრის შედეგად დაზიანებულ ადგილებში აღარ შეიძლება, ხოლო საწარმოო გაერთიანება ჭიათურმანგანუმმა უმოკლეს დროში გადაწყვიტოს იმ მოსახლეობისათვის უშიშარი საცხოვრებელი ადგილის გამოყოფა, რომლებიც უახლოეს ხანში ნგრევის ზოლში ხვდებიან მადნის გამომუშავების გამო. მასვე მიეცა წინადადება 2000 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა გადასცეს საჩხერეს, 1000 კუბური მეტრი — ჭიათურას, დაზარალებული მოსახლეობისათვის.

აღინიშნა, რომ შტაბის მომავალ სხდომაზე, რომელიც ერთი კვირის შემდეგ გაიმართება, კონკრეტულად განიხილება აღნიშნულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობა და ასე მკაცრი მომკითხველობა გაგრძელდება მანამ, სანამ არ აღსდგება დაზარალებული ქალაქები და სოფლები.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მოკლე დროში შევიყვანოთ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა საცხოვრებელ ბინებში. ამ საქმეში ზოზინი, მოჩვენებითობა, უსაქმურობა არის ქართველი ერის ღალატი და ეს არავის ეპატიება, რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს წარსულში.

შტაბის სხდომაზე საქმიანი წინადადებით გამოვიდნენ საჩხერის რაიონის პრეფექტი ბატონი ბესიკ ქუთათელაძე, ჭიათურის პრეფექტის მოადგილე ბატონი ვახტანგ მახათაძე, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილე ბატონი ჯაბა კუბლაშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე ბატონი კახა ქორიძე, საავტომობილო გზების კონცერნის თავმჯდომარე ბატონი ბორის სარალიძე, თბილმშენპროექტის დირექტორი ბატონი ვლადიმერ ქურთოშვილი, საწარმოო გაერთიანება ჭიათურმანგანუმის გენერალური დირექტორი ბატონი ვალტერ ხუხუნეიშვილი, სოფლების საკრებულოთა და სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელები.

დაზარალებული მოსახლეობა დღეს კარგად ხედავს და გრძნობს იმ დიდ დახმარებას, რასაც მათ მიმართ იჩენენ და ამიტომაც გაათკეცებული ენერგიით შრომობენ. როცა ადამიანს იმედი აქვს, მაშინ იგი უძლეველია.

• • •

30 მაისს მიწისძვრისაგან დაზარალებულ საჩხერისა და ჭიათურის რაიონებს კვლავ ეწვია შტაბის თავმჯდომარე ბატონი თამაზ ვაშაძე. მან დაათვალიერა მიწისძვრისაგან დაზარალებული საჩხერის რაიონის სოფლების გარკვეული ნაწილი და ცალკეული ობიექტები, თავისი თვალით ნახა, თუ რა სამუშაოები შესრულდა განვლილი ერთი კვირის მანძილზე და 31 მაისს გამართულ შტაბის სხდომაზე სათანადო შეფასება მისცა მას. საჩხერის რაიონში დაზიანებული და დანგრეული 13.200 სახლიდან 1 ივნისისათვის აღდგენილი იყო 405. მიმდინარეობს 621 სახლის აღდგენითი სამუშაოები. რაიონში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით დასაქმებულია 55 ორგანიზაცია 2950 მუშით, მაგრამ დღეისათვის მშენებლობის გარეშე დარჩენილია 2010 სახლი, მათ შორის სოფელ ჭალოვანის საკრებულოში — 500, სოფელ ცხომარეთის საკრებულოში — 410, სოფელ არგვეთის საკრებულოში — 500, სოფელ ჭალის საკრებულოში — 400 და სოფელ ქორეთის საკრებულოში — 200 სახლი.

როგორც საჩხერის სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელმა ბატონმა ილია ქევხიშვილმა აღნიშნა, დასახული პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს დანგრეული სახლების აღდგენას და ახლების მშენებლობას დაწყებული ივნისიდან ხუთი თვის განმავლობაში, საჭიროა ყოველთვიურად 1.500 სახლის შენება, ხოლო ყოველდღიურად — 52 სახლისა. ამ ტემპის მიღწევა შეიძლება, თუ რაიონში შეიქმნება 1000 სამშენებლო ბრიგადა, თითოეული სულ ცოტა ხუთი კაცის შემადგენლობით, დღეისათვის კი გვყავს 800 ბრიგადა.

— ქალაქ ჭიათურაში სადღეისოდ მუშაობს 17 სამშენებლო ტრესტი და მასთან გათანაბრებული 67 სამშენებლო ორგანიზაცია 2033 კაცით. მუშაობა მიმდინარეობს 816 ობიექტზე, აღდგენილია 272 საცხოვრებელი სახლი. 30 მაისის ჩათვლით ჭიათურაში აღწერილი 5.900 ობიექტიდან საპროექტო გადაწყვეტილება გაცემულია მხოლოდ 636 ობიექტზე, 61 სოფლიდან 15-ში დღემდე არ შესულა საპროექტო ორგანიზაცია. ძალების უკმარისობის გამო ბევრ სოფელში, შეიძლება ითქვას ზონის მეოთხედ ტერიტორიაზე, მშენებლები ჯერ არ უნახავთ. საჭიროა დამატებითი ძალების გამონახვა, — თქვა ბატონმა ზაურ კაპანაძემ.

ქალაქ ჭიათურის პრეფექტმა ბატონმა ნოდარ აბჟანდაძემ ილაპარაკა ჭიათურის ზონაში გადასაჭრელ პრობლემებზე.

შტაბის სხდომაზე აღინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს (ა. ჩხეიძე, გ. გოგიჩაიშვილი), საავტომობილო გზების კონცერნის (ბ. სარალიძე), რესპუბლიკის სახლთმშენებელი სამრეწველო გაერთიანების „საქამშენმასალების" (ო. ხელაშვილი) და სხვების დადებითი მუშაობა.

შტაბის სხდომის შეჯამებისას თ. ვაშაძემ, საყვედური უთხრა საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ დღემდე მათ მიერ გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის. სწორედ მათი მიზეზით ხდება რომ საკრებულოებისა და სოფლების მიხედვით სამშენებლო ორგანიზაციებისათვის განაწილებული ობიექტებიდან ჯერჯერობით ვერც ერთმა ვერ შეძლო მთლიანად მოიცვას სამუშაო ფრონტი პროექტების უქონლობის გამო.

აღინიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შემოსული ვაგონების დაცლას.

მთელი სერიოზულობით აღინიშნა, რომ სასკოლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე მუშაობა საკმარისი არ არის. კერძოდ, ამაზე ყურადღება გაამახვილა რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრმა ლია ანდღულაძემ.

ფსიქოლოგიურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დაზარალებულ ოჯახებს ეწვიონ კომისიის წევრები და ყველა ნაგებობას დაუსვან ზუსტი დიაგნოზი, ჯერჯერობით კი უფრო მეტად ფუსფუსია, კიდრე რეალური საქმე.

სოფლების საკრებულოებს წინადადება მიეცათ მცირედ დაზარალებული სახლები საკუთარი ძალებით შეაკეთონ, ამისათვის მათ გამოუყოფენ სამშენებლო მასალებს და თანხებს გაწეული მუშაობისათვის.

ჯემალ გურული,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

რომ დაეხმარონ დაზარალებულთ

მიწისძვრით დაზარალებული რაჭისა და იმერეთის მოსახლეობის ტრაგედიის პირველ დღეებშივე ქალაქ ფოთის ბანკში გაიხსნა დახმარების ფონდი, სადაც დღესდღეობით უკვე ათასობით მანეთი ჩაირიცხა. პრეფექტურისა და საკრებულოს საქალაქო გაზეთის „ახალი კოლხეთის" ფურცლებზე იმთავითვე გაჩნდა მიმართვა ქალაქის მოსახლეობისადმი. ხოლო ქალაქის პრეფექტურამ (პრეფექტი — თენგიზ ბარამიძე) შექმნა დაზარალებულთა დახმარების შტაბი. მათი მთავარი მიზანია დაეხმარონ დაზარალებულთ და ადგილზე გაიგზავნოს სურსათი, ტანსაცმელი, კარვები, ფული. დაზარალებულთათვის; ასევე დიდ სამსახურს ეწევიან ქალაქის მწვანეთა კავშირი, ავღანელთა კავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ქალაქის ხორცკომბინატის კოლექტივმა დიდძალი ღორისა და საქონლის ხორცი, აგრეთვე ძეხვი გაუგზავნა დაზარალებულთ; თითქმის ყველა საწარმომ, ორგანიზაციამ, მთელმა მოსახლეობამ, როგორც იტყვიან, პირველი და ფართო მოთხოვნილების საქონელი შეაგროვეს. მიწისძვრის ადგილებში ნაყოფიერად შრომობენ ფოთიდან წარგზავნილები — სულ 40 კაცი, მათ შორის 5 მედიცინის მუშაკი. ფოთელებმა თან წაიღეს სისხლი, მედიკამენტები, 10 კარავი, საცხოვრებელი ვაგონ-სახლი, დიზელ-გენერატორი და ა. შ.

ერთ-ერთი გიგანტ-საწარმოს — გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ქარხნის საერთო საცხოვრებელსა და პანსიონატში მიიღონ დაზარალებულთა სკოლამდელი ასაკის ბავშვები და რამდენიმე უსახლკარო ოჯახი. მათ დაზარალებულთა დახმარების ფონდში ჩარიცხეს რამდენიმე ათასი მანეთი, პირადად ქარხნის დირექტორმა დანიელ მალალაშვილმა დახმარების ფონდში თავისი დანაზოგიდან გადარიცხა 1000 მანეთი.

სათევზაოდ გასული ტრაულერების ეკიპაჟებმა დახმარების ხელი გაუწოდეს თანამოძმეებს. ტრაულერ „ოქტიაბრსკოეს" ეკიპაჟმა (კაპიტან-დირექტორი — ბახბავა) გადარიცხა 10 ათასი მანეთი, „ბაზალეთის" ეკიპაჟმა (კაპიტან-დირექტორი — გოგიბერია) 10 ათასი მანეთი, „სიმონოვის" ეკიპაჟმა (კაპიტან-დირექტორი — გვაზავა) ჩარიცხა 8.500 მანეთი; ასევე გადარიცხეს თანხები გემების: „ბათუმის", „საქართველოს", „კოდიპაშევის", „ოდიშის" მეზღვაურებმა და სხვებმა.

საყურადღებოა, რომ შორეული ნაოსნობის გაერთიანება „საქთევზმრეწვის" დირექტორის ზ. ბოლქვაძისა და მთავარი ინჟინრის ტ. კუციას სახელზე მოვიდა ლასპალმასის (ესპანეთი) „რიბკანის" დირექტორის სანდრო ბოტინგზევიას რადიოგრამა, სადაც გამოთქმულია გულითადი თანაგრძნობა მიწისძვრით დაზარალებულთა მიმართ; ერთდროული დახმარების სახით კი გადმოგზავნილია ხუთი ათასი ერთჯერადი სისხლის გადასასხმელი მოწყობილობა.

ბეგლარ ჩხაიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

გაჭირვებული მოყვასის გვერდით

გამომცემლობა „სამშობლოს" კოლექტივმა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ანგარიშზე უკვე გადარიცხა 100000 მანეთი. პოლიგრაფისტებმა სახელდახელოდ შეაგროვეს საოჯახო ნივთების გარკვეული რაოდენობა, პროფკომიტეტმა თავისი სახსრებიდან 1000 მანეთი გაიღო, შეკრიბეს პირადი ფულადი შემოწირულობანიც ჩვენი გამომცემლობის 17 მუშაკის ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც დაზარალებულ რაიონებში ცხოვრობენ. გამოიყოფა და გადაიგზავნება სამშენებლო მასალები, სხვადასხვა ინვენტარი, საოჯახო ნივთები...

აღსანიშნავია, რომ ამ დღეებში ჩვენთან სტუმრად მყოფმა იტალიის რესპუბლიკის ორმა მოქალაქემ ჯუზეპე და ვიტო ბარაკონებმა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების მიზნით 1000 მანეთი გაიღო.

რ. ხანთაძე,
გამომცემლობა „სამშობლოს" პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელი



ეკლესია კვლავ იწვევს მორწმუნეებს

დამთავრდა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ორბეთის წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის რეკონსტრუქცია. ფერადოვანი საღებავებით მოიხატა კედლები, განახლდა გუმბათი. ტაძარი უკვე აკურთხეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებმა და ამჟამად ღია არის თავისი მრევლისათვის.

სურათებზე: წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ ორბეთში.

პაატა არჩვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მხატვრობა

პორტრეტი ტაო-კლარჯეთის ფონზე

...„**ზღაპრული** ღრუბლები და მთა-გორიანი ბუნება. მთები ალაგ-ალაგ თოვლიანი. მაღალი ალვის ხეებიანი ველები გადაბიბინებულია როგორც ოაზისები. არზრუმი ჩრდილო-აღმოსავლეთით რჩება და გზა ჭაობიან მიდამოს კვეთს, ვიდრე გურჯუ ბოღაზომდე (საქართველოში გასასვლელი), აჰკორძს გასასვლელამდე ადის. ამის იქით სულ განსხვავებული ლანდშაფტი იშლება თვალწინ. მოჩანს უჩვეულო ფერადოვანი ქვის მასივები; ზღაპრული ფორმების ქვათა სტრუქტურები ერთმანეთს ერწყმიან. ერთ-ერთი მთის მწვერვალზე ზვიადად აღმართულა დიდებული ქართული ციხე-გალავანი“.

ეს არზრუმ-თორთუმისაკენ მიმავალი მგზავრის ჩანაწერია.

კიდევ ერთ ჩანაწერზე ვამახვილებ ყურადღებას.

ოლთუ, ორშაბათი, 1.6.1981.

„დილით ავტობუსით პენეკის ულამაზეს მთებში მივდივარ და მთელი დღე იქ ვრჩები. ისევ ვაგრძელებ პენეკის (ბანა) მრგვალი ეკლესიის შესწავლას. ფორმით უჩვეულო წითელი ფერის კედლები ზღაპრულ კოშკებს მაგონებენ. ჩემგან ხელმარცხნივ აღმართული მთები ცისარტყელას შვიდი ფერით ბრიალებენ. პარაპკილისესგან მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია შემორჩენილი. სოლომონკალეზე ვერ ავედი. გარშემო ძეხორციელი არ ჭაჭანებს...“.

ვინ არის ეს მგზავრი, ხან შავშეთისაკენ რომ მიიჩქარის სისხამ დილით, ხან ოშკის გადასახვევთან დგას მანქანის მოლოდინში, ხან ჯიპით, ხანაც ტრაქტორით რომ მიიკვლევს გზას მთიანეთში, სადაც ხან თაღოვან ხიდებს წააწყდება, ხან უკვე ნანგრევებად ქცეულ ოპიზას (ფოტოსურათებით რომ იცნობდა), ნახევრად დანგრეულ ტბეთის ეკლესიასთანაც შეჩერდება, ხან მთის კორტოხზე წამოდგმულ ქართულ ნაციხარზე ადის ალპინისტის ფეხსაცმელებით და თვალს ვერ აშორებს ათასფრად ამეტყველებულ ქვათა მასივებს; იისფერს, მწვანეს, ნაცრისფერს, ოხრას... და ისევ და ისევ ლაჟვარდოვან ცას... და იქნებ გულში ანას სიტყვებსაც იმეორებს:

„...შენ ისე ღრმა ხარ
ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ხახულა,
ბებერი ტაო...“.

არა, ეს კაცი ტომით გერმანელია, მაგრამ ქართული პოეზიის, მუსიკის, ქართული დამწერლობის, ხუროთმოძღვრების, საქართველოს წარსულისა და აწმყოს შეყვარებული. იქ, გაუცხოებულ ქართულ მიწაზე, თურქეთის საქართველოში ის მარტო ძეგლებს როდი ეძიებს, ეძებს ადამიანებს — მეტადრე ქართველებს, ეძებს მოხუცებს, რომლებსაც ახსოვთ ამათუიმ ძეგლის სრულყოფილი იერი და ახლა მათი ნაშთიღა დარჩენილა. ქართულში ივარჯიშებს ენას ახალგაზრდებთან, იღებს და ხატავს ტაო-კლარჯეთის ძეგლებს წლების მანძილზე, დაწყებული 1980-დან დღემდე — იგი მხატვარი ვერნერ რუდიგერია, მიუნხენში დაბადებული და გაზრდილი, ბავშვობიდანვე ეკლესიების ხატვით გატაცებული, რისთვისაც საკუთარმა პაპამ მოქანდაკე ჰანს ფაულჰაბერმა 1946 წელს ექვსი წლის ბიჭუნა აკურთხა როგორც ხელოვანი და ამით განსაზღვრა კიდეც ყმაწვილის მომავალი. მიუნხენშივე მიიღო განათლება [illegible] რეალურ სასწავლებელში, შემდეგ გამოყენებითი გრაფიკის დარგში, რომელიც 1961 წელს დაამთავრა.

სხვადასხვა შემოქმედებით ატელიეში მუშაობამ და ხშირმა მოგზაურობამ სერბიაში, მონტენეგროში, მაკედონიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, რუსეთში, სპარსეთში, გააფართოვა მისი თვალსაწიერი და შემოქმედებითი ინტერესები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მისთვის თურქეთი, სადაც კარგა ხანს მუშაობდა და ცხოვრობდა და გამოფენებიც გამართა 1967-68 წლებში სტამბოლსა და ტარაბიაში (აკვარელი).

მშობლიური ქალაქის წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით იგი 1975 წელს წარსდგა — პროფესიონალ მხატვართა შემოქმედებით კავშირში, სადაც მოაწყო გამოფენა თემაზე „რუსეთის ძველი ქალაქები“.

მართალია, აკვარელი მხატვრისთვის თავისი ფიქრებისა და განცდილის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ იგი იწყებს მუშაობას ზეთითაც და ამავე დროს იყენებს ხოლმე არატრადიციულ აკრილს, და ცვილისებურ ცარცს; ამ კომპონენტებით მან კიდევ უფრო გაამდიდრა ნახატის ფაქტურა.

ყველგან, სადაც კი იგი მოგზაურობს, იქნება ეს ჩრდილოეთი — სკანდინავიის ქვეყნები, თუ სამხრეთი-თურქეთი, საქართველო, მისი სანუკვარი თემაა ხუროთმოძღვრება და პეიზაჟი. მატერიალური კულტურის ძეგლებში კითხულობს ვერნერ რუდიგერი ქვეყნის წარსულს, ყოფას, ხალხის სულისკვეთებას და ხასიათს!

ამ მხრივ მისთვის თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული ძეგლები და თვით საქართველო ამოუწურავ, თანამედროვე თემად იქცა. იგი საოცრად გრძნობს და გადმოგვცემს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ — ძეგლისა და გარემოს თანხმიერებას, ანუ ჰარმონიას.

რაც ათი-თერთმეტი წლის მანძილზე უხატავს ვერნერ რუდიგერს უსიყვარულოდ ვერ შეიქმნებოდა. ასოცდათერთმეტი ნამუშევარი ჩამოიტანა მან თბილისში, სადაც 30 აპრილს ჩამოფრინდა მიუნხენიდან, შეძრა ხელოვანი წინა დღეს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ — იქნებ ზედმეტიც იყოს ახლა გამოფენაო... მაგრამ არა, — ხელოვნება მუდამ იყო და იქნება ადამიანთა სულის შემწე და მეოხი, სალბუნი ტკივილებისა, რომელიც [illegible] სტიქიური უბედურებისა თუ დამძიმებული პოლიტიკური ვითარების გამო თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანაში.

მაისი წლევანდელი წლისა ალბათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს ვერნერ რუდიგერის შემოქმედებით ბიოგრაფიაში — 17 მაისს გაიხსნა მხატვრის სახლში საქართველოს მხატვართა კავშირის და ცენტრალური მხატვრის სახლის თაოსნობით გამოფენა სათაურით: „ქართული კულტურის ძეგლები თურქეთში“. მაგრამ როდესაც საგამოფენო დარბაზებს მოივლით, დარწმუნდებით, რომ ეს დასათაურება ცალფაა. აქ მარტოოდენ ტაო-კლარჯეთის ძეგლები კი არა, თვით დედა საქართველოცაა დასურათხატებული თავისი სვეტიცხოვლითა და ჯვარით, სამთავისითა და სამწევრისით, გერგეთის სამებითა და მანგლისის ტაძრით, ბეთანიითა და მეტეხით. ასე გამთლიანდა მის შემოქმედებაში ორი საქართველო...

...და მაინც, განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა და ემოციები გამოიწვია გამოფენის თურქულმა ნაწილმა — ქართველი კაცისათვის ამ სამასწლიანმა მოუშუშებელმა სატკივარმა, რომ ჩვენგან არც ისე შორს არის და ინგრევა ქართველთა სულიერი სახლები. მეჩეთებად გადაუკეთებიათ იშხანი და ხახული, პირისაგან მიწისა აღგვილა ოპიზა, მშვენება ტაო-კლარჯეთის მხარისა, რომელიც მეცხრე საუკუნის ბოლოდან ენითაც და განათლებითაც სრულიად ქართული იყო და ქართული კულტურის სავანედაც იქცა აშოტ კურაპალატის მეოხებით. გაჩაღდა, სამონასტრო ცხოვრება. „ამის მოთავე იყო განთქმული და დაულალავი ბერი გრიგოლ ხანძთელი (759-861), რომელიც მოვიდა ქართლიდან კლარჯეთში აშოტ დიდის დროს. გრიგოლს კლარჯეთში დახვდა მარტო ერთი ქართული მონასტერი ოპიზა, ხოლო ბოლო დროს ის გახდა არქიმანდრიტი კლარჯეთის თორმეტი მონასტრისა, რომელთა შორის ხუთი მის მიერვე იყო აშენებული, სხვები მისი მოწაფეების მიერ“, —წერს ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ფეხდაფეხ ჰქონდა შემოვლილი და შესწავლილი ყოველი ქართველისათვის საოცნებო ეს მხარე. მანვე გააღვიძა ქართველობაში იქნებ ომის მძიმე წლებითაც მიძინებული სატკივარი, როცა პარიზიდან 1921 წელს გატანილი განძეულითურთ დაბრუნებისთანავე პრესაში გამოაქვეყნა წერილები თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების შესახებ, რაც დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...,

მართალია, არსებობს სამეცნიერო, სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურა სათანადო ტაბულებითურთ, არსებობს ეს მხარე ჩვენს წარმოსახვაში, პოეზიაში და ხელოვნებაში, იგივე მხატვრობაში, კინემატოგრაფიაში, მაგრამ მიუხედავად დღევანდელი თურქული ბუმისა, სარფის კარი მაინც უფრო კომერციული ინტერესებით აღტკინებული ხალხისათვის გაღებულა, ვიდრე ისტორიული წარსულით გატაცებული ადამიანებისათვის. კიდევ უფრო მწარეა ის, რომ ქართველი კაცი იმოგზაურებს თვით მთავარ თურქეთში, მის ჩრდილოეთში კი, რაც ჩვენეული სამხრეთ საქართველოს ნაწილია, ფეხსაც ვერ გაადგამს. მადლობა ღმერთს, უცხოელთათვის არ არსებობს ეს ბარიერი — ამითაც განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის ბატონ ვერნერ რუდიგერის შემოქმედება, რომელიც არა მარტო მხატვრულ ღირებულებას, არამედ დოკუმენტურ ხასიათსაც იძენს — მან ხელის გულზე მოგვართვა ტაო-კლარჯეთის მხარე თავისი განუმეორებელი ტაძრებით და ციხე-სიმაგრეებით, ნანგრევებში მოქცეული ტკივილითა და სევდით, შეცვლილი, მაგრამ მაინც არდავიწყებული ქართული სახელებით, კოლორიტით და ხასიათით, რომელსაც იგრძნობს მხოლოდ ქართული არქიტექტურის, ქართული ჩუქურთმის, ქართული ბარელიეფის მცნობი კაცი, წელიწადის სხვადასხვა დროს, დარსა თუ ავდარში რომ უნახავს არაერთხელ ერთიდაიგივე ძეგლი და დაუხატავს სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა განწყობით.



მოხარული ვარ, რომ კვლავ ვიმყოფები საქართველოში, ჩემს საყვარელ თბილისში, სადაც გაიხსნა ჩემი პერსონალური გამოფენა და რომ ქართველი ხალხი იხილავს მისი კულტურის სიყვარულით შთაგონებულ ჩემს ნამუშევრებს.

მივესალმები ქართველ მკითხველს და ვუსურვებ მას წარმატებებს თავისუფლების გზაზე.

პატივისცემით
ვერნერ რუდიგერი

განწყობა დიდ როლს თამაშობს მის ქმნილებებში, განსაკუთრებით აკვარელით შესრულებულ კომპოზიციებში და იბადება კითხვა, — როდის და საიდან იღებს სათავეს ეს გატაცება ქართული თემით?

— პირველად 1971 წელს ვიყავი საქართველოში და აღფრთოვანებული დავრჩი. მას აქეთ დავეწაფე ქართული ხელოვნების შესწავლას..

1979 წელს თბილისში მეორედ რომ ჩამოვედი, ხელოვნების მუზეუმში შუა საუკუნეების ქართული ეკლესია-მონასტრების ძველი ფოტოსურათები, ნახატები და მაკეტები ვნახე.

გავოცდი, როცა გავიგე, რომ ამ დიდებულ ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, — მე კი თურქეთს კარგად ვიცნობდი, 1966-68 წლებში იქ ვმუშაობდი, როგორც მხატვარი-გრაფიკოსი და მთელი სიგრძე-სიგანით მოვლილი მქონდა ართვინი, არდახანი და ყარსი. ეს ამბავი კი ჩემთვის აღმოჩენა იყო, მითუმეტეს, რომ კავკასიისადმი ინტერესი, სიყრმიდანვე აღმეძრა და ქართული ენის შესწავლასაც ამის გამო შევუდექი 1977 წელს მიუნხენის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთ უხუცეს წევრთან, ბატონ ილია კუჭუხიძესთან.

ასე რომ, 1980 წლის გაზაფხულიდან იწყება ვერნერ რუდიგერისათვის თურქული მოგზაურობის მეორე პერიოდი აღსავსე ახალი შთაბეჭდილებებითა და მიგნებებით, ახალი ნახატებითა და ჩანაწერებით, ევროპულ ენებთან (ინგლისური, ფრანგული, ესპანური) ერთად მან ჩინებულად იცის თურქული და ეს დიდად უწყობდა ხელს მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ცხადია, ქართველობა ძალზე ეხმარებოდა ამა თუ იმ ძეგლისაკენ გზის გაკვლევაში.

— ახსოვთ კი ქართული ტაძრები, ქართული ციხეები?

— ახსოვთ. შარშან პირველად მივაგნებული სოფელი გოგუბა, სადაც ამავე სახელობის ეკლესია მეგულებოდა. 50-იან წლებში სოფლის სკოლის ასაშენებლად დაუშლიათ იგი. მოხუცებს ადრინდელი ფოტოსურათი რომ ვაჩვენე (თაყაიშვილის ექსპედიციიდან), უმალ იცნეს და სინანული გამოთქვეს. ამ ნაკლებად ცნობილ ძეგლზე მასალა და ფოტო ქართულ ენციკლოპედიასაც გამოვუგზავნე.

საერთოდ, ბატონ ვერნერს მჭიდრო კავშირი აქვს ქართველ მეცნიერებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან. იგი დიდად ემადლიერება ბატონ ვახტანგ ბერიძეს, რომელმაც მოიწვია ქართული ხელოვნების VI სიმპოზიუმზე, როგორც მხატვარი. მაშინ ინახულა კახეთის ისტორიული ძეგლები, მოიხილა ალავერდით და იყალთოთი, შუამთით და ძველი გავაზით, გურჯაანის ყველაწმიდით. წელს ბოლნისის სიონის და წუღრუღაშენის მადლს ეზიარა, შემოდგომაზე კვლავ აპირებს ჩამოსვლას და უპირველესად მიწისძვრით დანგრეული ნიკორწმინდის ნახვას. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ მან ერთი ნახატი შესწირა.

...ისევ ტაო-კლარჯეთს ვუბრუნდებით. მამაწმინდის ეკლესიას აქებს, — უნიკალური ნაგებობაა, ჯერჯერობით მასზე ვერაფერს წავაწყდით ლიტერატურაში. იმ მოულოდნელ შთაბეჭდილებაზე მიამბობს, რაც მოუხდენია მასზე ჯერ კიდევ კარგად შემონახულ ოშკის დიდებულ ტაძარს, რომლის აფსიდზე ფრესკები და წარწერები გადარჩენილა.

— სადაც ფრესკები შემორჩენილა, სულ ლურჯი საღებავითაა მოხატული, როგორც ცა — ამბობს მხატვარი და მერე სიტყვიერად მიხატავს მაღლობზე შემდგარ მომინანქრებულ გუმბათიან იშხანს, ოაზისივით ამწვანებულ სოფლის შუაგულში რომაა — ვაზიც კი ხარობს თურმე იშხანში,... გარშემო კი უდაბური კლდოვანი მთებია.

— 1980 წელს პირველად ვნახე ბანა, ძნელი მისასვლელია, შორი გზით დაგვჭირდა მანქანით მოვლა, მერე კი ფეხით ავედით მთაზე. მოვიხილე მრგვალი, მძლავრი ნაგებობით, მედიდური იერი აქვს მას, თუმც ჩრდილო-დასავლეთის მხარე ლიაა, აფსიდის სვეტების კოლონადი შენარჩუნებულია. მისი ცნობილი ბარელიეფები კი ბროწეულისა და ყურძნის მტევნის გამოსახულებით აღარსად ჩანდა. შარშან შორიდანღა დავინახე...

...დრამატული განცდა გეუფლებათ, როცა უყურებთ ვერნერ რუდიგერის მიერ აკვარელში შესრულებულ ბანას — განმარტოებულს, განახევრებულს— თითქოსდა ახალი ქარტეხილების მომლოდინეს...

— ბანასთან ახლოს პარაპკილისეა, ადრეც მინახავს, თაღიღა დარჩენილა მისგან. ხშირია მიწისძვრები, ბევრი რამ შეცვლილი მხვდება, ნადგურდება ფერწერაც. ამიტომ უფრო ვეშურები გადავიტანო ნახატში ის, რასაც ვნახავ. ფოტოსლაიდებიც ბევრი მაქვს. ოღონდ ესაა, ყოველთვის გულარხეინად ვერ ჩაუჯდები სამუშაოს, მოსწრებაზეა ხოლმე საქმე ხან უტრანსპორტობის გამო (გალამდება), ხან ონავარი ბიჭების გამოც, რომელთაც ჰგონიათ, რომ მხატვარი კი არა, განძის მაძიებელი ხარ და გარშემო გიტრიალებენ არაფერი „აგვეწაპნოსო“...

სამაგიეროდ ბევრი ნაცნობი გაიჩინა შავშეთში, მეიდანჩიკში, სადაც ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ქართულად და მეტი ნდობითაც ექცევიან. ახლომახლოც სუფთა ქართული სოფლებია. აი, ღოლისყანაში კი ერთადერთი ქართველიღა ყოფილა, ისიც იმამი...

ძეგლებს შორის მანძილი და სამოგზაურო დრო მაინტერესებს:

— ხახული და ოშკი ერთ დღეში მინახავს, — ერზერუმის და თორთუმ-ართვინის გზაზეა, უმეტესად, ცხადია, ფეხით მომიწია სიარულმა, ისე კი, ერთ ძეგლს ერთი დღე მაინც უნდა შესწიროს კაცმა რომ კარგად დაათვალიეროს. ბრწყინვალეა ოქროსფერი ტუფით ნაშენი ხახული, მზეც რომ არ ანათებდეს, მაინც ბრწყინავს (ეს ნახატშიც იგრძნობა, ნ. ღ.), ფასადზე ახლაც არის ჰორელიეფი — არწივი კრავით... იქვე მშვენიერი მცირე ეკლესიაა.

...იშხანი, ოთხთა ეკლესია, პარხალი?

— იუსუფელში ჩასულმა (ართვინის ოლქი) ღამე იქ უნდა გაათიო და დილაადრიან გაჰყვე ავტობუსს იშხანში. ალტიპარმაკში — ეს იგივე პარხალია, სარიგიოლიდანაც მიდის ავტობუსი. არაფერი ჯობს იქ გავლას, ბროწეულების და ყვავილების საუფლოა. ეს ძეგლები რომ მოიარო, 4-5 დღე მაინც უნდა, სიჩქარე არ გამოდგება. პარხალიდან ისევ იუსუფელში უნდა დაბრუნდე ოთხთა ეკლესიისკენ წასასვლელად, გზად, ჭოროხის (მათებურად ჩორუხი) გაყოლებაზე თექკალესაც ნახავთ, სხვა დღეს კიდევ იშხანს და ასე...

ეს სინამდვილე, ხოლო ლეგენდა კი, ლეგენდა ხომ მუდამ საოცარია!

იშხანში, ხახულში, ოთხთა ეკლესიაში, პარხალში მცხოვრებნი მათი ეკლესიების აგებას ძლევამოსილ და შესანიშნავ თამარს მიაწერენ...

...თამარს ჰყავდა თეთრი რაში, ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოევლო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო. როცა მან გაიარა ამ კლდესთან თავისი ჯარით, ცხენიდან ჩამოვარდა და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო...“ (ე. თაყაიშვილი „დაბრუნება“. ემიგრანტული ლიტერატურის I ტ. გამომცემლობა „მეცნიერება“, შემდგენელი გ. შარაძე, რედაქტორი ლ. სანიკიძე).

კიდევ უფრო კარგად სცოდნიათ თამარის სახელი ბინათის მცხოვრებთ, სოფელ მელოს მახლობლად რომ არის, ჭოროხის პირზე...

...თითქოს თვალი მოჰკრაო ჩემს წარმოსახვაში თეთრ რაშზე ამხედრებულ თამარს, ისე გამეპასუხა ბატონი ვერნერი:

— მეიდანჩიკში თამარის ციხეა, სულ ნანგრევებად ქცეულა. კითხვა-კითხვით მივაგენით — აქ ხუთი ციხეაო თამარის — მითხრეს იქაურებმა. მე მხოლოდ ორი ვნახე, ორივე ულამაზეს ადგილზე დგას, — მსგავსი მთები მხოლოდ შვეიცარიაში, ალპებში თუ მინახავს. გზა ქართველებმა მიმასწავლეს...

...მაშ კვლავ ცოცხალია თამარის სახელი, კიდევ არსებობს ნაშთი ძველი დიდებისა, — მისულ ციხე-სიმაგრეთა და მისივე სახელობის კამაროვანი ხიდებისა.

— კვლავ გაგრძელდება ქართული ციკლი?

— უეჭველად, — ამბობს ბატონი ვერნერი — საქართველო და მისი ისტორია ჩემი ცხოვრების და შემოქმედების განუყრელ თემად იქცა. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს გამოფენას სრულიად საქართველო იხილავს.

ეს სურვილი არ უნდა იყოს ძნელი ასასრულებელი, მითუმეტეს, რომ ამ გამოფენის დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი გახსნის დღეს თვით მხატვრის სახლის გენერალურმა დირექტორმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა თეიმურაზ გოცაძემ, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, ისტორიკოსმა კოტე ჩოლოყაშვილმა, მხატვრებმა მანაბა მაგრაძემ და მამია ახობაძემ.

...ბატონი ვერნერი უკვე შინაურულად გრძნობს თავს თბილისში, წელს ხომ მეშვიდედ ჩამობრძანდა. უფრო ხშირად ძველი თბილისისა და ყოფილი ბატონის ბაღის და ნარიყალას უბნებში უყვარს ხეტიალი — თბილისი კიდევ ახალ საზრდოს აძლევს მის შთაგონებას.

ნანა ღვინეფაძე

საზღვარგარეთ

შეიქმნა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტი

მიმდინარე წლის 24-27 მაისს კიშინიოვში მოლდოვეთის უზენაესი საბჭოს სახალხო ფრონტის ფრაქციის ინიციატივით გაიმართა იმ ექვსი რესპუბლიკის პირველი შეხვედრა, რომლებიც ხელს არ აწერენ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. კიშინიოვის ფორუმის მუშაობაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდა ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი გია მაისაშვილი. გუშინ ბატონი გია რედაქციაში გვესტუმრა და გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები. მას ესაუბრა ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველი გურამ სიხარულიძე.

რა მიზნით დაარსდა კიშინიოვის ფორუმი?

კიშინიოვის ფორუმის დაარსებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. პირველად შეიკრიბნენ ერთად ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, მოლდოვეთისა და საქართველოს წარმომადგენლები, რათა ერთად შეემუშავებინათ პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებები. ამ ექვსი რესპუბლიკიდან ზოგიერთმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ზოგმა თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა. ამ პირობებში გაძლიერდა კრემლის ზეგავლენა. ეს რესპუბლიკები სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდნენ. სწორედ ამ ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადის გასარღვევად მოიწვიეს კიშინიოვის ფორუმი. მისმა მონაწილეებმა მოქმედების საერთო სტრატეგიული ხაზი შეიმუშავეს და პირველად იმპერიის ისტორიაში შეიქმნა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ექვსი რესპუბლიკის კოალიცია.

რამდენად ერთსულოვანი იყვნენ კიშინიოვის ფორუმის მონაწილენი?

კიშინიოვის ფორუმის მონაწილეებს აერთიანებდათ ერთი დიდი სურვილი დამოუკიდებლობის მოპოვებისა. მიუხედავად კარდინალური საკითხებისადმი ერთსულოვნებისა, იყო ტაქტიკური განსხვავებანი, და ეს სრულიად ბუნებრივია. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ერთიანი, შეთანხმებული პოზიციით თავიანთი რეგიონისადმი იჩენდნენ ყურადღებას. სომხები ძირითადად ყარაბაღზე ლაპარაკობდნენ. მასპინძლები მეტწილად დაინტერესებული იყვნენ თავიანთი პოზიციის განმტკიცებით მოლდოვეთის უზენაეს საბჭოში. შეგახსენებთ, რომ მოლდოვეთის ეროვნული ძალები რესპუბლიკის პარლამენტში უმცირესობას შეადგენენ, განსხვავებით ფორუმში მონაწილე სხვა რესპუბლიკებისაგან, რომლებიც მმართველი პარტიებით იყვნენ წარმოდგენილი. ამიტომ მოლდოველები ცდილობდნენ ფორუმის რეპუტაცია თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის გამოეყენებინათ. რაც შეეხება ჩვენს შეხედულებებს, ისინი რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ნათელია.

როგორ იყო შეხვედრა ორგანიზებული?

კიშინიოვში შესანიშნავი შეხვედრა მოგვიწყვეს. იგი მოსახლეობის დიდი ყურადღებით სარგებლობდა. კიშინიოვის ფორუმის საქმიანობა ფართოდ შუქდებოდა როგორც რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სრული დატვირთვით მუშაობდა პრესცენტრი, მასში მონაწილეობდნენ უამრავი ქვეყნის ჟურნალისტები, რომლებიც საგანგებოდ ჩავიდნენ კიშინიოვში.

რა ძირითად საკითხებს დაეთმო ყურადღება?

კიშინიოვის ფორუმმა მიიღო დადგენილებები, რომლებიც საქართველოს პრესაში უკვე გამოქვეყნდა. ამას გარდა შეირჩა საკითხები, რომლებსაც თბილისის შეხვედრაზე განიხილავენ.

ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა, თუ როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც შეათანხმებს ცენტრის საწინააღმდეგო ერთიან პოლიტიკას. ამის თაობაზე მიღებულია რეზოლუცია, რომელიც საბოლოოდ დაიხვეწება თბილისის შეხვედრაზე.

კიშინიოვის ფორუმმა დიდი ყურადღება დაუთმო შეხვედრის მონაწილე რესპუბლიკებში პოლიტიკური პროცესების ობიექტური გაშუქების საკითხს. ეს უაღრესად აქტუალურად ჩაითვალა, რადგან კრემლი რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას სრულ დეზინფორმაციას მიმართავს, რითაც სახელს უტეხს ეროვნულ მთავრობას მსოფლიოს თვალში. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს, შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ასევე საბოლოო ფორმას მიიღებს თბილისის შეხვედრის შემდეგ.

ცენტრის მხრივ ეკონომიკური ბლოკადის საწინააღმდეგოდ კიშინიოვის ფორუმის მონაწილეებმა შეიმუშავეს ექვს რესპუბლიკას შორის პირდაპირი — ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირის დამყარების კონკრეტული გეგმა.

როგორ დაახასიათებდით მოლდოვეთში შექმნილ ვითარებას?

მოლდოვეთის პოლიტიკური სურათის დასახასიათებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ აქ არნახულად გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება, ისახება გზები ისტორიულ სამშობლოსთან რუმინეთთან მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად. თვით კომუნისტური ორიენტაციის ფუნქციონერებიც კი ეროვნული იდეალების ერთგულებას და დამოუკიდებლობის იდეის პრიორიტეტს ქადაგებენ. შორს არ არის ის დრო, როდესაც რესპუბლიკის დემოკრატიული ძალები სრულ წარმატებას მიაღწევენ და უმრავლესობას მოიპოვებენ ქვეყნის პარლამენტში. ამ გზაზე მას დიდად დაეხმარა კიშინიოვის ფორუმი, რომელმაც არნახული ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის მოსახლეობაში.

დღევანდელი მოლდოვეთის ყველაზე მტკივნეული საკითხია ცენტრისგან ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები გაგაუზებთან და ე. წ. „დნესტრისპირეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან“. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის დემოკრატიული ძალების მეცადინეობით ურთიერთობა გაგაუზებთან თითქმის მოგვარდა.

კრემლის სასტიკი ანტიქართული კამპანიის მიუხედავად, მოლდოვეთის მოსახლეობა ობიექტურად აღიქვამს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მათ მშვენიერად ესმით სამაჩაბლოში ცენტრისგან ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის არსი, რადგან ანალოგიური პრობლემის გადალახვა უხდებათ საკუთარ სამშობლოში.

ბატონო გია, კიშინიოვის ფორუმის მუშაობა დაემთხვა საქართველოში პირველ საპრეზიდენტო არჩევნებს...

მოლდოვეთის საინფორმაციო საშუალებებით ფართოდ შუქდებოდა პრეზიდენტის არჩევნების კამპანია საქართველოში. უცხოელი კორესპონდენტების ცხოველ ინტერესს იწვევდა მისი სავარაუდო შედეგები.

კიშინიოვის ფორუმის ბოლო სხდომაზე, როდესაც არჩევნების წინასწარი შედეგები ცნობილი გახდა, ამ ცნობას დამსწრე საზოგადოება მქუხარე ტაშით შეხვდა და იგი დემოკრატიის კიდევ ერთ გამარჯვებად აღიარეს.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ქართული მხარის ინიციატივით მეორე შეხვედრა თბილისში გაიმართება. იგი გაცილებით მეტ ინტერესს იწვევს, რადგან აქ საბოლოო სახით ჩამოყალიბდება ექვსი რესპუბლიკის ერთიანი ფრონტი, რაც საგრძნობლად გააიოლებს იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას.

მორიგდნენ

გაიმართა კამბოჯის სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხუნ სენის შეხვედრა უფლისწულ ნოროდომ სიანუკთან, რომელიც მეთაურობს ყველა ოპოზიციური დაჯგუფების კოალიციას. ამ შეხვედრაზე მიაღწიეს დიდმნიშვნელოვან მორიგებებს კამბოჯის უმაღლესი ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობის, აგრეთვე ამ ქვეყანაში დაზავების ვადის გახანგრძლივების შესახებ საკითხზე. შეხვედრის შემდეგ ხუნ სენის განცხადების თანახმად, ამ შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ნოროდომ სიანუკი გახდება უმაღლესი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო ხუნ სენი — ამ უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარის მოადგილე.

აუქციონზე გაყიდეს

იმ მსუბუქი ავტომანქანების მორიგი დიდი პარტია, რომლებიც ემსახურებოდნენ ბიუროკრატიულ აპარატს, აუქციონით გაიყიდა ბრაზილიის მთავრობის გადაწყვეტილებით. წინათ აუქციონით გაიყიდა თვითმფრინავები, ვერტმფრინავები, სატვირთო ავტომობილები და ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა საკუთრების ნაწილიც. ეს ღონისძიებანი, ქვეყნის ხელმძღვანელობის აზრით, არა მარტო დაზოგავს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან სახსრებს, არამედ ხელს შეუწყობს ბრაზილიის საზოგადოებაში „ჯანსაღი მორალური კლიმატის“ შექმნას.

გრიგალი ბანგლადეშში

გამძვინვარებული გრიგალი უზარმაზარი ტალღებით თავს დაატყდა ბანგლადეშის სამხრეთ სანაპიროს. „ასეთი ძალის გრიგალის შედეგად ათასობით ადამიანი იღუპება“, — აცნობა ხელისუფალთა წარმომადგენელმა ბჰოლის სანაპირო რაიონიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს რამდენიმე წუთით ადრე, სანამ შეწყდებოდა სატელეფონო კავშირი. ახალი ტრაგედიის გამო საინფორმაციო სააგენტო ხალხს მოაგონებს, რომ მის წინამორბედ აპრილის გრიგალს — ერთ-ერთ ყველაზე დამანგრეველს ქვეყნის ისტორიაში — 139 ათასი კაცი ემსხვერპლა და მილიონობით უსახლკაროდ დარჩა.

აირჩიეს ლეიბორისტთა ლიდერად

გუშინ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი რობერტ ჰოუკი კვლავ აირჩიეს ლეიბორისტული პარტიის ლიდერად. შესაბამისად იგი დარჩება ქვეყნის პრემიერ-მინისტრადაც.

ლეიბორისტული პარტიისაგან ფედერალური პარლამენტის 110-ვე წევრის სხდომაზე რ. ჰოუკს ხმა მისცა 66 კაცმა. მის ყოფილ მოადგილეს, ხაზინდარ პოლ კიტინგს, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა რ. ჰოუკს და პრეტენზია ჰქონდა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელის როლზე — 44 კაცმა.

ეთიოპიელი ლტოლვილები სუდანში

ამ ბოლო რამდენიმე კვირაში სუდანში წამოსულ ეთიოპიელ ლტოლვილთა რიცხვმა ასი ათასს გადააჭარბა, იუწყება მენის სააგენტო ხართუმის ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით. სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შორის, რომლებიც თავს შველიან აჯანყებულთა ფორმირებების შეტევისაგან, მრავლად არიან დაჭრილები. ლტოლვილთა გადასარჩენად სუდანის ხელისუფალთა ძალისხმევის მიუხედავად, ყოველდღიურად საშუალოდ 21-24 კაცი კვდება. მათ აკლიათ წამლები და სურსათ-სანოვაგე.

განაახლა თავის წევრობა

ოც წელზე მეტი ხნის შესვენების შემდეგ ალბანეთმა განაახლა თავისი წევრობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში. ეს განაცხადა ამ ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა. ალბანეთი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი იყო 1920 წლიდან 1967 წლამდე. ამრიგად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი აქვს, ამჟამად შედის 149 სახელმწიფო.

ვენერას ზედაპირის ფოტოსურათები

ვაშინგტონში აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს შტაბ-ბინაში უჩვენეს ვენერას ზედაპირის მეცნიერული თვალსაზრისით სენსაციური გამოსახულებანი. ყველა ისინი მიღებულია ამერიკის „მაგელანის“ საპლანეტათშორისო ავტომატური სადგურის მეშვეობით, რომელიც ვენერას ორბიტაზეა და მისი ზედაპირის რადიოლოკაციურ კარტოგრაფირებას ახდენს. ამჟამად დამთავრებულია ვენერას ზედაპირის 84 პროცენტის კარტოგრაფირება, ხოლო სრული რუკა მიღებული იქნება სამუშაოს მესამე ეტაპის ბოლოს.

შეიქმნა ახალი კომისია

პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტის ზია-ულ-ჰაკის საჰაერო კატასტროფაში დაღუპვის გარემოებათა „სწრაფი, სრული და დეტალური“ ძიების სპეციალური კომისია შეიქმნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ნავაზ შარიფის მითითებით, ამას იუწყება გაზეთი „ნიუსი“. კომისიას სათავეში ჩაუდგება შინაგან საქმეთა მინისტრი. მის შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე სამოქალაქო და სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელები, პოლიციის გენერალური ინსპექტორები და მთელი რიგი სხვა მაღალი თანამდებობის მოხელენი.

მთავრობის მეთაურმა დაავალა კომისიას ძიების შედეგები და დასკვნები მაქსიმალურად მოკლე ვადებში გააცნოს მას.

თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდნენ ზია-ულ-ჰაკი, მისი თანმხლები ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ისლამაბადში და პაკისტანის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, 1988 წლის 17 აგვისტოს აფრენიდან რამდენიმე წუთში ჰაერში აფეთქდა. ავარიის კვალდაკვალ განხორციელებული ძიების დასკვნები მეტად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. პაკისტანში ბევრს საეჭვოდ მიაჩნია ეს დასკვნები.

იტალიური ღვინო საუკეთესოა

1988 წლის მოსავლის „მონტრუკი“, იტალიის პიემონტის ოლქის წითელი ღვინო, საუკეთესო ევროპული ღვინოა. ასეთი ვერდიქტი გამოიტანეს ევროპის წამყვანმა მეღვინეებმა, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან ირლანდიის პატარა ვალენტიის კუნძულზე შეიკრიბნენ.

ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ღვინის სავაჭრო ფირმის „სუპერკლუბის“ მიერ მოწყობილ კონკურსში მონაწილეობდა 17-ზე მეტი ქვეყანა, პიემონტის ღვინის შემდეგ საუკეთესო შეფასება მიიღეს 1988 წლის მოსავლის ავსტრიულმა თეთრმა ღვინომ „რუსტერ აუსბრიუხ რულანდერმა“ და 1981 წლის თეთრმა უნგრულმა ტოკაიმ.

გარკვეული გაოცება გამოიწვია კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებამ აერჩიათ ირლანდია მის მოსაწყობად. ეს ქვეყანა ცნობილია შავი „გინესის“ ლუდით და ვისკით, რომელსაც ზოგიერთები შოტლანდიურზე მაღლა აყენებენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაიხსენა ამ ქვეყნის ღვინის ვერც ერთი სახელწოდება.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ირლანდიელებისათვის უცხო არ ყოფილა ინტერესი ღვინოებისადმი. კონკურსში მონაწილეობდა თეთრი ღვინო, რომელსაც ამზადებს კორკის საგრაფოს მცხოვრები მაკ კალომენი. ეს არის ერთადერთი მეღვინე ქვეყანაში და წელიწადში მილიონამდე ბოთლს უშვებს. როგორც ჩანს, ამიტომ იყო კორკის ღვინოზე კონკურსის დროს განსაკუთრებული მოთხოვნა — ეს ხომ დიდი იშვიათობაა.

ეკოლოგია

რით იზომება, როგორ იზომება

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობა ძალზე მძიმეა და შეიძლება უყურადღებობით კატასტროფამდეც მივიდეთ. ამ ეკოლოგიურ სიტუაციამდე, რომელიც ახლა არის, ეკონომიკურმა, სოციალურმა, პოლიტიკურმა კრიზისმა მიგვიყვანა. წლების მანძილზე ჩვენ დაგვიგროვდა მრავალი პრობლემა, რომელიც ყოველდღიურად იზრდება. გარემოს გაჭუჭყიანების მასალებს რეგულარულად აქვეყნებს ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტი. შეიძლება თუ არა ვენდოთ იქ მოცემულ რიცხვებს? შეიძლება, მხოლოდ ბალანსური შეფასების კუთხით.

რით იზომება?

როგორ იზომება?

ზოგიერთი ნივთიერების დადგენა საერთოდ არ შეგვიძლია იმიტომ, რომ არ გვაჩნია თანამედროვე აპარატურა, თანამედროვე ხელსაწყოები.

უკანასკნელ მომენტამდე ეკოლოგიურ პრობლემებს წყვეტდა სამი სახელმწიფო კომიტეტი: ბუნების დაცვის, ჰიდრომეტეოროლოგიური, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური. არ იყო დადგენილი: საჭირო იყო თუ არა ამ კომიტეტების კონტროლი? თუ უფრო მისაღებია მათი სრული დამოუკიდებლობა?

ალბათ, ამ საკითხებს კორექტულად და საქმის სასარგებლოდ გადაჭრის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის კომისია, მთავრობა და ახალშექმნილი ეკოლოგიის და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო.

საბჭოთა კავშირიდან გადმოღებული სტრატეგიული მიმართულება ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე სახსრების გადიდების შესახებ და ჯარიმების სისტემების შემოღება ეკოლოგიურ პრობლემებს მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყვეტს. პირველ რიგში უნდა შეიცვალოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, მომავალი ეკონომიკური მოდელიდან საჭიროა ყველა იმ დარგისა და საწარმოს ამოღება, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკას მომავალში არ დასჭირდება, ხოლო დარჩენილ ობიექტებს ჩაუტარდეს ხელახალი ეკოლოგიური ექსპერტიზა. აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ეკოლოგიური პოლიტიკის კანონი შემდეგი ძირითადი პრინციპების მიხედვით:

1. საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება იცხოვროს ეკოლოგიურად ჯანსაღ პირობებში.
2. საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობა არ უნდა აყენებდეს ზიანს ბუნებას, როგორც თავისი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
3. პასუხისმგებლობა ეკოლოგიურ ვითარებაზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უნდა ეკისრებოდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.
4. საქართველოს რესპუბლიკა ატარებს თავისი სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულ ეკოლოგიური ცვლილებების სრულ შეფასებას და ეკოლოგიურ საკითხებზე დაუყოვნებლივ იძლევა აბსოლუტურ ინფორმაციას.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ეკოლოგიური პოლიტიკის კანონი უნდა ითვალისწინებდეს მიზნების, პრინციპების და მეთოდური რეკომენდაციების ლოგიკური სისტემების შექმნას.

აღვნიშნავთ იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ეკოლოგიური ვითარების არსებითი გაჯანსაღებისათვის. აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიური გაჯანსაღების კორექტული პროგრამის შემუშავება, სადაც აისახება ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა:

1. საერთაშორისო ეკოლოგიური კონვენციების და ქარტიების ცნობა და მათი მიღება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;
2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო სანიტარული ნორმების შემოღება;
3. საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციებისათვის დახმარების თხოვნა;
4. ბუნების დაცვითი უწყებების სრული რეორგანიზაცია, ერთიანი ეკოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბება;
5. ბუნებითსარგებლობის გადასახდელებისა და ჯარიმების სისტემის შემოღება;
6. საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო ეკოლოგიური ფონდის შემოღება;
7. კვების პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის ორგანიზაციისათვის სასწრაფო საგანგებო ზომების შემოღება და დანერგვა;
8. რესპუბლიკაში საწარმოო-ტექნიკური ნარჩენების სამარხის მოწყობა;
9. საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიური ინფორმაციის დებულების მიღება და დანერგვა;
10. ეკოლოგიური განათლების და კულტურის ამაღლება, პროფესიონალი ეკოლოგების მომზადება თანამედროვე დონეზე;
11. ყველა დარგის მეცნიერული პროგრამების ეკოლოგიური ღირებულების საკითხების ერთიან სისტემად ჩამოყალიბება;
12. ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნა;
13. საქართველოს რესპუბლიკის გათავისუფლება ატომური, ქიმიური და სხვა მასობრივი განადგურების იარაღისაგან, მათი დისლოკაციის, შენახვისა და გამოყენების კატეგორიული აკრძალვა და რესპუბლიკის გამოცხადება ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აქტის მიღება გვიყენებს კონკრეტულ ეკოლოგიურ ამოცანებს ცენტრთან ურთიერთობაში, რაზეც დღესვე უნდა დავიწყოთ მუშაობა: აუცილებელია ექსპერტთა კომისიების შერჩევა, რათა დადგინდეს ის ეკოლოგიური ზარალი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და საბჭოთა კავშირის ჯარებმა 1921 წლიდან მიაყენეს.

ეს არის ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საკითხებთან დაკავშირებით რესპუბლიკის სტრატეგიაზე.

ახლა ვილაპარაკებთ იმ ამოცანებზე, რომლებიც ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე დგას.

ქუთაისი ეკუთვნის იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფულია. ქალაქის გაჭუჭყიანებაში მნიშვნელოვანია სამრეწველო საწარმოთა წილი. მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ მათ ჩამონათვალში არ არის არც ერთი, რომელიც აკმაყოფილებს ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

მთელი გულახდილობით რომ ვთქვათ, დღესვე შეიძლება ყველა ამ ქარხნის, ყოველ შემთხვევაში მათი ზოგიერთი საამქროს დახურვა მაინც.

მაგრამ ისმის კითხვა: შეგვიძლია თუ არა ამის გაკეთება მორალური, სოციალური, ან სხვა თვალსაზრისით?

ჰაერის სისუფთავეზე ძალზე მძიმედ მოქმედებს ავტოტრანსპორტი. დაბინძურებაში თავისი წვლილი შეაქვთ საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და კომუნალურ მეურნეობას. ქალაქის სანიტარული მდგომარეობა სავალალო დღეშია. ქუთაისი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, რის გამოც ქალაქში კატასტროფულად არის მომრავლებული მღრღნელები და მწერები. მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს ქალაქის სანაგვის პრობლემა.

საკმარისი ყურადღება არ ექცევა კვების პროდუქტების ეკოლოგიურ სისუფთავესაც, რაც დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს.

ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად ქალაქში ვნერგავთ ეკოლოგიის მართვის ეკონომიკურ მოდელს, რომლის მექანიზმი შემდეგია: ეკოლოგიური კუთხით ყველა საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია; მათ მიერ ბუნებისათვის მიყენებული ზარალის გამო ჯარიმების და გადასახდელების დადგენა; ამ თანხით შექმნილი ფონდის გამოყენება ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს მექანიზმი ერთადერთია, რომელიც მოგვცემს საშუალებას ეკონომიკური მეთოდებით ეტაპობრივად მივაღწიოთ სტაბილიზაციას და ქალაქის კორექტული, კონკრეტული ეკოლოგიური პროგრამის მიღების შემდეგ (რომელიც გამოქვეყნდება საყოველთაო განხილვისათვის) გადავიდეთ გაჯანსაღებასა და სანიტარულ ნორმებზე.

ამის გარდა, ქალაქის ერთ-ერთი მექანიკური ქარხანა დაიწყებს მტვერდამჭერი და აირგამწმენდი მოწყობილობების დამზადებას. პროდუქციაში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური დანადგარების განვითარების თანამედროვე ტექნიკური ტენდენციები. ამ კონკრეტული ამოცანების გადაჭრისას დიდ იმედებს ვამყარებთ ყველაზე, ვისი პრეროგატივაც ქალაქის ეკოლოგიაზე ზრუნვაა: მეცნიერებზე, სპეციალისტებზე, ექსპერტებზე, ქალაქის ფართო საზოგადოებაზე. აუცილებელია ყველამ დაგვიჭიროს მხარი, რამეთუ დღეს ეკოლოგია არის ის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაში მონაწილეობით მოწმდება დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სამსახურისათვის ჩვენი მზადყოფნა.

არჩილ კოხტავა,
ქ. ქუთაისის პრეფექტი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი,

თემურ ვეკუა,
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ეკოლოგიის და შრომის დაცვის კათედრის გამგე, დოცენტი.

ავტორთა თხოვნით ჰონორარი მერაბ კოსტავას ფონდში გადაირიცხება.

ახალი წიგნი

საფიცარი სახელები

ბავშვობიდან გაწუხებდათ
ქართველების ბედი,
საქართველო იყო თქვენი
საფიცარი ღმერთი.

ამ სიტყვებით იწყება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის დოცენტის, ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის დარგში არაერთი საყურადღებო ნაშრომის ავტორის ნანული გუნიას ლექსების პირველი კრებული, რომელშიც ავტორი გულწრფელ სტრიქონებს უძღვნის ქართველი ერის თავგანწირულ სწრაფვას თავისუფლებისაკენ, საქართველოს ეროვნული მოძრაობის სახელოვან ლიდერებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას.

„ქართული თეატრის" მიერ ავტორის ხარჯით გამოცემული კრებული უხვადაა დასურათხატებული და შვიდი მანეთი ღირს. ფასი, ერთი შეხედვით, თითქოს ძვირია, მაგრამ მასში მეტად საყურადღებო მასალებია გამოქვეყნებული. თანაც აღსანიშნავია, რომ ნანული გუნია მრავალმხრივ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. მისი თაოსნობითა და სახსრებით მოკლე ხანში დაიწყება მშობლიური აბაშის რაიონის სოფელ განათლებისკარში მაცხოვრისკარის დანგრეული ეკლესიის აღდგენა...

ამაღლებული
ერისთვის

საკუთარ სახლში

სამარცხვინო ამბავი

როგორი ძვირფასი დღე იყო 1991 წლის 26 მაისი ქართველი კაცისათვის, ეს ყველამ კარგად ვიცით — ქართველი ხალხი საკუთარი ნებით ირჩევდა რესპუბლიკის პრეზიდენტს. მაგრამ ჩვენდა განსაცვიფრებლად და სამწუხაროდ სწორედ ამ დღეს, 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევის დღეს წყალტუბოში მილიციის განყოფილების ახალი უფროსის „არჩევაც" გადაწყვიტეს.

თურმე, ძველი უფროსი დაუწინაურებიათო და ჩვენც ახალი უფროსი ავირჩიოთო, ამაზე იოლი კი რა უნდა იყოსო, პრეზიდენტის ასარჩევად გამოყოფილ საარჩევნო უბნებში ხალხი შეგროვდება თუ არა, ჩვენც ჩვენი ხელმოწერები შევაგროვოთო.

ფაქტი კი ის გახლავთ, რომ წყალტუბოს მილიციის იმ წუთებშიაც და დღესაც ენერგიული ახალგაზრდა კაცი როინ ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს.

მაშინ, რა ხდება? ვინ უნდა ყოფილიყო 26 მაისს ხალხის მიერ ასარჩევი მილიციის განყოფილების უფროსი?!

ვის რაში სჭირდებოდა ეს ხელმოწერები და თანაც 1991 წლის 26 მაისს?! ყველაფერს რომ სიმართლის ნათელი მოეფინოს, იმედია, ამ კითხვების ლოგიკურ პასუხებს დააზუსტებს ქალაქ წყალტუბოს შესაბამისი, კომპეტენტური სამსახურები.

გიგა ლაპარტელიანი,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

კვლავ ალიაბადში

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს საქმიანი ურთიერთობა აქვს ზაქათალის რაიონის ალიაბადის № 1 საშუალო სკოლასთან, რომელსაც „ინტერნაციონალურს" უწოდებენ, ვინაიდან ამ სკოლაში სამი სექტორია: აზერბაიჯანული, ქართული და რუსული. სასიამოვნოა, რომ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ მომძლავრდა ქართული სექტორი, სადაც ამჟამად 400-მდე ბავშვი სწავლობს.

ინსტიტუტის მაპროფილებელი კათედრები მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ალიაბადის სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს ამარაგებენ სახელმძღვანელოებითა და მხატვრული ლიტერატურით.

ამასწინათ პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდჯგუფი და სტუდენტობა კვლავ ეწვია ალიაბადის სკოლას. გაიმართა სკოლის პედსაბჭოსა და ინსტიტუტის საბჭოს ერთობლივი სხდომა, რომელიც გახსნა რექტორმა, დოცენტმა როინ ჰიკაძემ.

სხვა მოსაგვარებელ საკითხებთან ერთად გამოიკვეთა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მწვავე დეფიციტი.

საბჭოს ერთობლივი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა ნადირაშვილი და ამავე ინსტიტუტის ეროვნულ ურთიერთობათა განყოფილების [illegible] დოცენტი გივი გამსონაძე. გაზეთ „თელავის მოამბის" რედაქტორი შერი ზაალიშვილი.

სტუდენტებმა წარმოადგინეს სპექტაკლი, ხოლო ალიაბადის სკოლის ქართული სექტორის მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ ძლიერია ქართული ხალხური ხელოვნების ფესვები.

ბოლოს გაიმართა პოეზიის საღამო. უხვად იფრქვეოდა ქართული ლექსი...

ნინო ომანიძე.

წერილები რედაქციას

გმადლობთ თანადგომისათვის

კვნესის დაფლეთილი გული
იმერეთის,
ცრემლს ღვრის დაქცეული
არემარე,
ბორგავს დედამიწა,
განაწყენებული,
ნეტა, მტერს და დუშმანს
ამ დღეში არ ვენახეთ.
ჩემი საქართველო
რისთვის ამიცრემლეთ?

ეს სტრიქონები რედაქციის სახელზე გამოგზავნილი საჩხერის რაიონის სოფელ იტავაზელი თოთხმეტი წლის გოგონას მაყვალა შაორშაძეს სამადლობელი წერილიდან არის ამოღებული. გოგონა გულისტკივილით გადმოგვცემს ძლიერმა მიწისძვრამ ორიოდე წამში როგორ დაანგრია მათი ორსართულიანი სახლი, დედამისმა, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, როგორ იხსნა თავისი ექვსი წლის ბიჭუნა სიკვდილისაგან, მაგრამ ფეხი დაიზიანა და, რომ არა ხაშურის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმებისა და მედპერსონალის პროფესიონალიზმი და გულისხმიერება, ახალგაზრდა ქალი ინვალიდად დარჩებოდა.

მაყვალა სიყვარულით გვწერს მათი რაიონის პრეფექტზე ბატონ ბესიკ ქუთათელაძეზე, იმ გულითადობასა და გულისხმიერებაზე, რაც მან გამოიჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილთა მიმართ, ანუგეშა, გაამხნევა ისინი და სათანადო დახმარებაც არ მოაკლო მათ.

ბესიკ ქუთათელაძეს მადლიერებით იხსენიებენ საჩხერის რაიონის სოფელ კალვათის მცხოვრებნი — დალი ლაბაძე, მერაბ და მიშიკო გულიაშვილები. ისინი გვწერენ: — ბატონმა ბესიკმა ჩვენს გადასარჩენად ყველაფერი იღონა, მოჰქონდა კარვები, სურსათ-სანოვაგე, მაგრამ მიწა კვლავ ბორგავდა, წყლის მოვარდნის საშიშროებაც შეიქმნა, ამიტომ ქალები და ბავშვები წყალტუბოში გაგვხიზნეს. ახლა აქ სანატორიუმ „მეშახტეში" დავბინავდით. სანატორიუმის მთელი კოლექტივი გულისხმიერებით გვექცევა და გვეხმარება. ყველაფერს აკეთებენ, რომ მდგომარეობა შეგვიმსუბუქონ".

წყალტუბოელთა დახმარებასა და გულითადობაზე გვწერენ სანატორიუმ „თბილისში" დაბინავებული საჩხერლებიც. აქ 150 ქალი და ბავშვია შეფარებული, რომელთაც მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ როგორც სანატორიუმის კოლექტივი, ასევე წყალტუბოსთან მიმდებარე სოფელ მაღლაკის მცხოვრებნი. „მათი დახმარება კი გვაიმედებს, რომ ჩვენი საქართველოს ბედნიერი მომავალი სწორედ ასეთ თანადგომაშია. ასე ერთ მუშტად შეკრულს ვერაფერს დაგვაკლებს ვერც ბუნების სტიქიური მოვლენები და ვერც ჩვენს მიმართ არაკეთილად განწყობილი ადამიანები". გვწერენ: ნელი გაზიდაური, ნინო მაჭავარიანი, ლარისა კაჭრიძე, მაგული კიპაროიძე, ნარგიზი ქიმიძე, ციალა ჩუმაშვილი.

რამდენი ადამიანის სიკეთეზე, დახმარებაზეა საუბარი რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილებში, გაჭირვებაში ჩავარდნილნი, რომლებიც გრძნობენ თანამემამულეთა გულწრფელ თანადგომას, გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ მათი სამადლობელი წერილები, როგორც ერთ-ერთ ბარათშია ნათქვამი: „მადლობა ყველას, ვინც მისი წილი ლუკმა გაგვიყო, ჩვენი ტკივილი გაითავისა და ამ ძნელბედობის ჟამს გვერდში დაგვიდგა".

საჩხერელ ხანშიშესულ ქალს თამარ დიდბერიძეს სწადია გაზეთის მეშვეობით მადლობა გადაუხადოს დუშეთის სპეციალური დანიშნულების ჯგუფის მეთაურს ლევან მანგიშვილს და მისი ჯგუფის წევრებს კობა მანგიშვილს, მალხაზ ჯანგიაშვილს, რომლებიც დაეხმარნენ მას დანგრეული სახლიდან ზოგიერთი საოჯახო ნივთისა და ჭურჭლის გამოტანაში. არადა, სამუშაო მეტად საშიში იყო, ჩამოშლილ კედლებთან მიახლოებაც კი სიცოცხლისთვის სახიფათო გახლდათ.

„გულს მალამო, სულს სანთელი", — ასე დაასათაურეს თავიანთი წერილი ონის რაიონის სოფელ ნიგავზების მცხოვრებლებმა ეთერ და რეზო რეხვიაშვილებმა. ისინი განსაკუთრებით ემადლიერებიან ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის მთავარი მომარაგების განყოფილების თანამშრომლებს, რომლებმაც სტიქიური უბედურების პირველსავე დღეებში ცისქვეშ დარჩენილ თანამოძმეებს მიაწოდეს საკმაო რაოდენობის პურის ფქვილი, შაქარი, კარაქი, ხილფაფა, მაკარონი, ვერმიშელი, ხორცის კონსერვები, საპონი, ასანთი და სხვ. ამ დახმარებამ ისინი არა მარტო ეკონომიკურად, მორალურადაც გაამხნევა.

ამბროლაურის რაიონის სოფელ თლუღიდან სკოლის დირექტორი კიაზო ჭიჭინაძე სოფლის სახელით მადლობას უხდის კასპის რაიონის პრეფექტს ქალბატონ ნინო მირიანაშვილს, რომელმაც უბედურების პირველსავე დღეებში ინახულა მათი სოფელი, შეხვდა მოსახლეობას და მალევე გამოუგზავნა დიდძალი სურსათ-სანოვაგე და სამშენებლო მასალა.

ჭიათურის რაიონის სოფელ ზედა ჭალოვანის მცხოვრებნი გვატყობინებენ როგორი დიდი დახმარება გაუწიეს ბორჯომის რაიონის სოფელ ტბის მცხოვრებლებმა და მათი საკრებულოს ხელმძღვანელმა, ჩამოუტანეს დიდძალი სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

სარედაქციო ფოსტაში მრავლადაა სამადლობელი წერილები. უფრო მეტი კი დახმარების მაუწყებელი ბარათებია. გვწერენ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ცალკეული მოქალაქენი, ახალგაზრდები თუ პენსიონერები, გვაცნობებენ დახმარების ფონდში გადარიცხულ თანხის თაობაზე, დაზარალებულ რაიონებში გაწეულ აღდგენით სამუშაოებზე. გვაწვდიან თავიანთ წინადადებებს, აღმშენებლობითი სამუშაოებისას რა უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ შემდგომში თავიდან ავიცილოთ ადამიანთა მსხვერპლი და ასეთი დიდი ზარალი.

ქ. შერაზადიშვილი გულისტკივილით გვაცნობებს სტიქიისაგან დანგრეული ონის რაიონის, მისი მშობლიური სოფლის ონჭევის მდგომარეობას და ითხოვს: იქნებ დანგრეული საცხოვრებლების პატრონებს ხის სახლები გამოუყოს და ამასთან ნაწილს თანამედროვე პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლები აუშენდესო. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, — წერს იგი, — რათა ოსეთის მოსაზღვრე რაჭის დაზარალებული სოფლები — ინწევი, ქვედი, წედისი, ირი, ბაჯიხევი, ჩორდი, შქმერი და სხვ. პირველად იქნეს აღდგენილი, რითაც განვამტკიცებთ ამ რეგიონში რესპუბლიკის შემდგომ დაცვას.

„ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!" — ამ სიტყვებით ამთავრებს იგი თავის წერილს.

ამინ!

ლარისა ბატიაშვილი.

სპორტი

თავისუფლება და გამარჯვება

25 მაისს „საქართველოს რესპუბლიკაში" ვწერდით, ციურიხში ევროპის ჩემპიონატზე 24 მაისს გამგზავრებული ქართველი მკლავჭიდელებისგან მოველით გამარჯვების მაუწყებელ ამბებსო.

ასე ყველაფერი ბედნიერად აუხდეს ქართულ სპორტს და სრულიად საქართველოს, როგორც ჩვენ ეს დიდებულად აგვიხდა. შვეიცარიაში ევროპის ოფიციალურ ჩემპიონატზე ჩვენი მკლავჭიდელების გამგზავრება იყო კონტინენტის ჩემპიონატზე პირველი დამოუკიდებელი, გასვლა საერთოდ ქართული სპორტის ისტორიაში.

29 მაისს გვიან ღამით თბილისის აეროპორტში ციურიხიდან ჩამოვიდა 10 ქართველი მკლავმაგარი სპორტსმენი, რომლებმაც დიდი სიხარული ჩამოიტანეს თან. 10-დან 8 მედალი და ევროპის გუნდური ჩემპიონობა. აი, ამას ჰქვია ნამდვილი გამარჯვება და აღიარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და, საერთოდ, ჩვენ სპორტულ სამყაროში ქართველი მკლავჭიდელების გამოსვლა დამოუკიდებელი გუნდით ოფიციალურ დონეზე პირველი მძლავრი ნაბიჯია და პირველი დიდი გამარჯვება. სკეპტიკოსებს ეხლავე გვინდა ვუთხრათ, რომ ცდებოდნენ, როცა ამბობდნენ: საქართველო ცალკე გუნდით ვერ მოახერხებს საერთაშორისო სარბიელზე გასვლასო. ამ შემთხვევაში მოახერხა და მერე როგორ მოახერხა.

ევროპის ჩემპიონატზე 15 სახელმწიფოს უძლიერესი მკლავჭიდელები გამოდიოდნენ. სხვათა შორის, აქ გამოდიოდა ე.წ. სსრკ ნაკრებიც (დაკომპლექტებული რუსეთის გუნდით).

თურმე რამდენი დრო უქმად დაუკარგავთ ქართველ სპორტსმენებს საკავშირო ნაკრებ გუნდებში, რომლებიც ყველგან რუსეთის გუნდის სახელით იყო ცნობილი.

ქართველ სპორტსმენთა დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელმა თემურ გიორგაძემ თბილისში დაბრუნებისას გვითხრა: მსაჯები ყველაზე მკაცრად სწორედ ჩვენ და სსრკ გუნდს ექცეოდნენო. იყო ჩვენს მიმართ მსაჯთა უსამართლობის ფაქტებიც, მაგრამ გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული საქართველოს ნაკრები, როგორც ეტყობა, მეტ ჩემპიონს (ე. ი. პირად პირველობაში გამარჯვებულს) ელოდა და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ფინალში ხუთი ქართველი იბრძოდა. ასე იყო თუ ისე, მოპოვებულია უდიდესი გამარჯვება. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი გუნდის გამარჯვების მაუწყებლად შვეიცარიაზე აფრიალდა საქართველოს სამფეროვანი ეროვნული დროშა და გაისმა გამარჯვების ჰიმნი „დიდება". ევროპის ქვეყნებმა დაინახეს თუ რა ძალა გვქონია.

ვინ ასახელა საქართველო ევროპის სარბიელზე 10 სპორტსმენიდან? როგორც მოგახსენეთ რვამ საპრიზო ადგილი და უმშვენიერესი თასები მოიპოვა (პრიზიორებს გადაეცათ ერთნაირი ფორმის ვერცხლის თასები). მათ შორის კი ორმა ყველაზე მეტად ისახელა თავი, გახდნენ ევროპის ჩემპიონები საქართველოს სახელით. ესეც პირველი შემთხვევაა ქართულ სპორტში.

85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა თბილისელი მკლავჭიდელი ჯიმი მერაბიშვილი, ხოლო ყველაზე საპატიო და პრესტიჟულ წონით კატეგორიაში — მძიმე წონაში, გამარჯვება მოიპოვა საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ზესტაფონელმა ზაურ ცხადაძემ. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ქვეცნობიერად მოველოდით კიდეც ზაურის გამარჯვებას, რამეთუ მისი მომგები კაცი არც კი გვეგულებოდა საერთოდ ევროპაში.

მეორე საპატიო საპრიზო ადგილები მოიპოვეს: მესტიელებმა ლერი სადლიანმა (70 კილოგრამი), ერეკლე გურჩიანმა (90 კილოგრამი), თბილისელმა გელა ბეწუაშვილმა (75 კილოგრამი). ხოლო, მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: საჩხერელი კობა თოდაძე (80 კილოგრამი), მესტიელი გია გვიჩიანი (60 კილოგრამი) და თბილისელი ზაზა გუგენიშვილი (90 კილოგრამი). მხოლოდ ორი სპორტსმენი დარჩა უმედლოდ.

ჩემპიონატზე საუკეთესო მსაჯის პრიზი გადაეცა თბილისელ არბიტრს ირაკლი შაიშმელაშვილს.

მოპოვებულია ბრწყინვალე გამარჯვება. გატანილია საქართველოს სახელი მის ფარგლებს გარეთ. როგორც ხედავთ, უქმად არ ჩაუვლია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გარჯას გაეგზავნათ ჩვენი გუნდი საზღვარგარეთ საასპარეზოდ. ყოჩაღ, ქართველო მორკინალებო. ჯერი მსოფლიო ჩემპიონატზეა.

გაბრიელ ბარჯაძე
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 6 ივნისს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და უზენაესი საბჭოს აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უზენაესი საბჭოს წევრის ამირან კალაძის დედა

კლარა ერმილეს ასული სტურუა-კალაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ადამიანები

ნაბიჯი საქართველოს კეთილდღეობისაკენ

ის, რასაც რჩეული ერის „შვილები აკეთებდნენ საქართველოსათვის, მისი თავისუფლებისათვის, ყოველთვის ჩემს აღმაფრენას იწვევდა. მღვდელი თევდორე, ქეთევან წამებული, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი... ისინი საკუთარი სიცოცხლის ფასად, სრული თავგანწირვით მოწამეობრივად აღესრულებოდნენ. მე მათ სულთა განმეორებას ვხედავ 9 აპრილს დაღუპულ წმინდანებში.

1991 წლის აპრილის შუა რიცხვებში სახლში ჩავიკეტე და შიმშილობა დავიწყე. ორი-სამი დღის შემდეგ (17 აპრილს დილით) ვგრძნობდი რა, რომ ვიპოვნიდი თანამოაზრეებს, მივედი რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ გაშლილ კარავში და პირის ამოკერვა დავასრულე... დიახ, პირამოკერილი გამოვაცხადე შიმშილობა ოფიციალურად და ასე გამოვუთქვი პროტესტი გორბაჩოვისა და მისი დამქაშების იმ უსამართლობასა და არაობიექტურობას, რასაც ისინი სამაჩაბლოს ძირძველ ქართულ მიწაზე სჩადიან. მიზანი ერთი იყო: შიმშილობის ამ ფორმით დაინტერესებულიყვნენ უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტები. პირი ამოვიკერე ჩვეულებრივი საოჯახო ნემსითა და ძაფით, ყოველგვარი სტერილიზაციისა და სანიტარული ნორმების დაუცველად.

გამვლელმა თუ გამომვლელმა თავი შემოაპყო კარავში. ზოგმა შემიცოდა, ზოგმა დამცინა. ბევრი სოლიდარობას მიცხადებდა, ზოგი მაღიზიანებდა, ზოგი პირიქით — მამშვიდებდა.

შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: მეორე დილით კარავში გვესტუმრა მწერალი, პარლამენტის დეპუტატი ბ-ნი ამირან კალაძე. მან შექმნილი ვითარება პარლამენტში მიმდინარე სესიას საჯაროდ გააცნო, საიდანაც მთელი საქართველოსათვის გახდა ცნობილი ჩემი საპროტესტო აქცია. კარავს მოაწყდა ხალხის ნაკადი, ნაცნობები, უცნობები, რომლებიც თანაგრძნობას მეუბნებოდნენ. მოვიდა რაჭა-ლეჩხუმისა და ტყიბულის მთავარეპისკოპოსი, ნიკორწმინდელი მამა ამბროსი, იგი იდგა ჩემთან კარავში და დიდი ხნით გალობდა ცრემლმორეული, მაშინ, როცა წინა დღით ერთი ცოდვილი ბერი მიშლიდა ამ აქციის გაგრძელებას და მუქარით მეუბნებოდა, რომ მე ცოდვას ჩავდიოდი.

როცა სურვილი გამოვთქვი აქცია მოსკოვში გამეგრძელებინა, ჩემმა თანამოაზრეებმა წინადადებას მხარი დაუჭირეს. საქართველოს პრეზიდენტმა ბ-მა ზვიად გამსახურდიამ აქციის ხელმძღვანელობა სთხოვა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერს, დეპუტატ ავთანდილ იმხაძეს, რომლის თავკაცობით მოსკოვს გავემგზავრეთ.

მოსკოვში დიდი გულისხმიერებით მიგვიღო საქართველოს მთავრობის მუდმივმა წარმომადგენლობამ ბ-ნ კახაბერ ლომაიას მეთაურობით. ჩვენ იქ ყურადღება არ მოგვკლებია, ჩასვლიდან გამომგზავრების ბოლო წუთამდე. მოსკოვის ქართველთა სათვისტომომ მოგვიტანა პლაკატები ჩემი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მე ძირითადად მოვითხოვდი რეაგირებას მსოფლიოს მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებით ერის სამ ძირითად გულისტკივილზე:

1) შეწყდეს ცენტრის ჩარევა სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში;

2) შეწყდეს დეზინფორმაცია სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენათა გაშუქებაში;

3) უმოკლეს დროში იქნას გაყვანილი საკავშირო შინაგანი ჯარის ნაწილები სამაჩაბლოდან, რომლებიც ფაქტიურად თანამშრომლობენ ოს ექსტრემისტებთან და აწყობენ სისხლიან ტერორს ქართველთა წინააღმდეგ.

გულისხმიერებით მინდა მოვიხსენიო და მადლობა გადავუხადო მოსკოვში დროებით მცხოვრებ ქართველ ექიმებს: ზურაბ კილაძეს, რევაზ ბენიძეს, ნუკრი ლომინაძეს. ასევე იქ მყოფ ყველა ქართველს, ვინც კი შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ გვაკლებდა. თბილისიდან სპეციალურად ჩამოსულ ექიმებს — რიტა სეფაშვილს, ნიკოლოზ ჩადუნელს და ასევე უდიდესი მადლობა პროფესორ ზაალ კახიანს, რომელიც მივლინებული იყო მოსკოვში, მან ყველა საქმე გადადო და ჩვენს აქციას არ მოსცილებია, ჩვენს გვერდით იყო. მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ამიხსნეს პირიდან ძაფები, იმ სტადიაში, როცა უკვე სეფსისის პროცესის დაწყების საშიშროების წინაშე იდგა ჩემი ჯანმრთელობა.

მართალია, მაშინაც და მერეც ბევრში ეჭვს ბადებდა ჩემი საქციელის უკიდურესობა, მაგრამ ამჟამად მოვხვდი გულისხმიერ ადამიანთა გარემოცვაში, რომლებმაც ჩემი პროტესტი სწორად აღიქვეს.

მადლობა ღმერთს! ამ გულისხმიერ ადამიანთა თანადგომითა და წყალობით ყველაფერს თავის სახელი დაერქვა, ყველაფერმა თავისი ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა სალმა აზრმა, უყურადღებოდ არ დარჩენილა ჩვენი მცირედი თავგანწირვა. ამ წერილში მოხსენიებულ ყველა ბატონსა და ქალბატონს (ვინც ჩემს აქციას უკავშირდება) მადლობით მოვიხსენიებ, ჩემს მიერ წამოწყებულმა აქციამ მათი თანადგომით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საქართველოს მომავალი კეთილდღეობისაკენ, რომელიც არც თუ ისე შორს არის ჩვენგან.

თენგიზ მეხი,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი.

სხვადასხვა

„არაგველები" უხმობს არაგველებს

დღეს უჭირს საქართველოს... უჭირს დუშეთსაც, ფშავსაც, ხევსურეთსაც, მთიულეთ-გუდამაყარსაც. მეტად დიდი და საპასუხისმგებლო პრობლემების წინაშე დგანან რესპუბლიკის ამ უდიდესი მაღალმთიანი რაიონის მშრომელები: უნდა გამოაღვიძონ ათწლეულების მანძილზე იავარქმნილი ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, განაახლონ გამოცარიელებულ-მიტოვებული სოფლები, მთას დაუბრუნონ მთიელი, აღუდგინონ რწმენა ადამიანებს, რათა არაგველი კვლავ არაგველობდეს და შეუვალ ციხებურჯად ედგეს დედა საქართველოს.

ყველაფერ ამას უპირველესად საყოველთაო შემართება, მხარში დგომა და ყოველდღიური პრაქტიკული შრომა-გარჯა სჭირდება. ამ დღეებში სწორედ ამისათვის უხმო დუშეთის რაიონის პრეფექტურამ და საქველმოქმედო საზოგადოება „არაგველის" გამგეობამ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე არაგველ მეცნიერებს, ცალკეულ უწყებათა ხელმძღვანელებს, პრაქტიკოსებს, რაიონის მშრომელებს საზოგადოების მეორე ყრილობაზე, რომელმაც განიხილა და დასახა რაიონის წინაშე მდგარი პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის კონკრეტული საკითხები.

დუშეთის რაიონის პრეფექტმა ი. ლუდუშაურმა მაღალი შეფასება მისცა საზოგადოების მიერ შემუშავებული რაიონის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის პროგრამას და მრავალმხრივი დახმარება და თანადგომა აღუთქვა „არაგველებს"...

ასე, რომ წინ დიდი და ხელჩართული შრომაა დაგეგმილი. ამიტომაც არის, რომ „არაგველი" თავისკენ უხმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე არაგველებს, უხმობს თანადგომისათვის, მთელი საარაგვოს აღმშენებლობისათვის.

იჩქარეთ, არაგველებო!

გია ჭელიძე.

გასწორება

„საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 29 მაისის ნომერში მე-2 გვერდზე გამოქვეყნებული საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის პირველი აბზაცის მე-8 და მე-9 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს: „ქი, დაბა, თემი, სოფელი. ადმინისტრაციულ-ტერი-"; მე-17 პუნქტის (მე-4 სვეტი) მეორე აბზაცის მე-8-11 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს: „სპუბლიკის უზენაეს საბჭოს ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდ-".

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხომარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა